გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისისსასწავლოუნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: ჟურნალისტიკა

სამაგისტრო ნაშრომი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და მედია

სტუდენტი - ნათია ცაავა

ხელმძღვანელი - პროფესორი დალი ჩიკვილაძე

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია....3

Annotation 4

შესავალი 5

თავი I.წინასაარჩევნოკამპანიაგაზეთებში „საქართველოსრესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „ასავალ-დასავალი“....7

1.1.გაზეთი ,,საქართვლოსრესპუბლიკა“ 8

1.2. გაზეთი „რეზონანსი“ 44

1.3. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“....59

თავი II. საპრეზიდენტოარჩევნების I და II ტური 63

2.1.გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“....64

2.2. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 72

2.3. გაზეთი „რეზონანსი“ 75

დასკვნა 80

ბიბლიოგრაფია:....82

ანოტაცია

საქართველოს არჩევნების ისტორია სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ფორმის დამკვიდრებასთან ერთად იწყება. საქართველოში არჩევნების ასახვას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ამიტომ საყურადღებოა, როგორ და რა სახით აქვეყნებდნენ გაზეთები: ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას.

ნაშრომში განხილულია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, მათი ასახვა ამ სამ გაზეთში, წარმოჩენილია პირველი და მეორე ტურის წინასაარჩევნო სპეციფიკა, გამოყოფილია გაზეთების მიერ ასახული მასალის მსგავსება-განსხვავებები, წარმოდგენილია დასკვნა, თუ რამდენად შეძლო ბეჭდურმა მედიამ არჩევნების ობიექტურად ასახვა.

ნაშრომის მიზანი არის, თუ რამდენად ობიექტური და სამართლიანი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ასახვა ამ სამ გაზეთში.

Annotation

The history of Gergian elections starts with the establishment of democratic form of state governance. The reflection of elections does not have a long history in Georgia. Therefore, it is important how and in what ways did the newspapers: ,,Sakhartvelos Respublika", ,,Rezonansi" and Asaval-dasavali" publish the presidential election of 2018.

In this work, it is discussed the presidential elections of 2018, their reflection in these three newspapers, it is demonstrated pre-election of the firs and second round, it is shown similarities and differences of the materials coverd by the newspapers and it is concluded how objectively print media reflected the elections results.

The main objective of this work is to show how unbiased and fairly was reflected the 2018 presidential elections by those three newspapers.

შესავალი

თ ე მ ი ს ა ქ ტ უ ა ლ ო ბ ა: მედიის როლი საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ძალზედ მნიშველოვანია. სარედაქციო დმოუკიდებლობა, პატიოსნება და პროფესიონალიზმი არჩევნების სწორად გაშუქების საფუძველია. ჟურნალისტის პასუხისმგებლობა განაპირობებს არჩევნების ასახვის რეალობას, სხვადასხვა სტილში ასახული მედიაინფორმაციები საზოგადოების არჩევნებში ჩართვის საშუალება და არჩევის ინდივიდუალურად გადაწყვეტის საფუძველია, თუ ეს არ ისახება მედიასივრცეში, მედიის ძალაც დაკარგულია, ვინაიდან წინასაარჩევნოდ მედისაშუალებების გავლენა ამომრჩევლებზე ძალიან დიდია. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ 2018 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდი და ასევე, არჩევნების პირველი და მეორე ტური ასახული მედიაში შეეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა .

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ს ი ა ხ ლ ე: სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩვნების, როგორც პირველი, ასევე მეორე ტურის და წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება ბეჭდურ მედიაში აქამდე არ ყოფილა შესწავლილი ამ ფორმით.

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ი ზ ა ნ ი: კვლევის სათაურია ,,2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და ქართული მედია“, რომლის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ, რა სახით და რამდენად სრულყოფილად ხდებოდა საკვლევად არჩეულ გაზეთებში რეალობის ასახვა.

კ ვ ლ ე ვ ი ს ა მ ო ც ა ნ ები: მიზნის მისაღწევად გამოიკვეთა ორი ძირითადი ამოცანა:

1.2018 წლის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება გაზეთებში: ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“

2. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი და მეორე ტურის ასახვა გაზეთებში: ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“

კ ვ ლ ე ვ ი ს მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ა: მასალის შესწავლის პროცესში გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდები:

- მეორადი ანალიზის მეთოდი იმისათვის, რომ უფრო ღრმად წარმოგვეჩინა, თუ რამდენად ობიექტურად ასახავდა ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს. აგრეთვე გამოვიყენეთ, ,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიერ ჩატარებული კვლევა, ,,არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2016-2018“.
- კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდი, გამოვიყენეთ, რათა სამი გაზეთის, კერძოდ, ,,საქართველოს რესპუბლიკის“, ,,რეზონანსის“, ,,ასავალ-დასავალის“, მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების და ინფორმაციების ტექსტების შინაარსი ერთმანეთთან დაგვეკაშირებინა.
- შედარებითი ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ, რათა შეგვესწავლა, თუ რა სახით და როგორ ხდებოდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ასახვა ამ გაზეთში.
- დოკუმენტური ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ იმისათვის, რომ სწორედ ასახულიყო სამი გაზეთის ფუნქცია. ვეყრდნობოდი საქართველოს კანონს ,,სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.
- კვლევის ობიექტსწარმოადგენს გაზეთები: ,,საქართველსო რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“, ხოლო კვლევის საგანია ამ გაზეთებში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩვნების ასახვა.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება:

1. 2 - ენოვანი ანოტაციისაგან;
2. შესავალი;
3. 2 თავი და 6 ქვეთავი;

4. დასკვნა;

5. ბიბლოგრაფია.

ნაშრომი შედგება 88 გვერდისაგან.

თავი I.წინასაარჩევნოკამპანიაგაზეთებში „საქართველოსრესპუბლიკა“, „რეზონანსი“ და „ასავალ-დასავალი“

თავისუფალ საქართველოში არჩევნებს 25 წლიანი ისტორია აქვს. ხელჩართული ბრძოლები საარჩევნო უბნებზე, ყუთების გატაცებები და რევოლუციური - შემდგრი თუ არ შემდგარი გეგმები, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა, ეს საქართველოს უახლესი ისტორიის არჩევნების თანმდევი პროცესია.

,,დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიტყვისა და გამოხტვის თავისუფლებაა. რაც გულისხმობს ხალხის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას. აღნიშნული კი შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებებით ხორციელდება. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მედია წარმოადგენს, საარჩევნო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით იზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს, რომელიც მას მედიის საშუალებით მიეწოდა“. (დამხმარე სახლმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის , 2015-2016წ.წ. გვ.49-50)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამ საერთო ფონის საკმაოდ ტემპერამენტიანი აღმოჩნდა. შეუძლებელი იყო ყველაფრის კვლევა ერთნაირი ენერგიით, თუმცა საინტერესო და დამაფიქრებელი პროცესების ამსახველი შეიქმნა ამ პერიოდის ბეჭდური მედია სივრცე. შესწავლისა და დაკვირვების შედეგად ზღვა მასალა დავაჯგუფეთ შემდეგი პრინციპის მიხედვით, გაზეთები: ,,საქართველოს

რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“, არჩევნების ასახვა და მიმდინარეობაზე მსჯელობა.

როგორც ,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში წერია, ,,გაზეთებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამბის გაშუქება არა ფაქტზე დაყრდნობით, არამედ გადაუმოწმებლად კონკრეტული სუბიექტების დისკრედიტაციის მიზნით ხდება. ჟურნალისტები არ ერიდებიან ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების ტირაჟირებას, სიძულვილის ენის გამოყენებას და შეურაცხყოფას, გარდა ამისა, რეპორტიორეი არ ცდილობენ, არც რესპოდენტთა დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი განცხადებების გამიჯვნას.“(არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2016-2018 წ. წ., მომზადებულიაევროკავშირისა (EU) დაგაეროსგანვითარებისპროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, გვ. 69-70)

1.1.გაზეთი ,,საქართველოსრესპუბლიკა“

საქართველოს ექსპრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორმა, ამჟამად ჰოლანდიაში მცხოვრებმა მიხეილ სააკაშვილმა ,,რუსული საერთაშორისო ტელევიზიის“ (RTVI) ჟურნალისტებს ეკატერინე კოტრიკაძეს და ვლადიმერ ლენსკის, პროგრამა EFIRI-ის ეთერში სატელეფონო ინტერვიუ მისცა, **,,ამერიკული დიპლომის მქონე სტაიჟიანმა გიჟმა, საქართველოში შემოდგომაზე დავბრუნდებიო“** ინტერვიუში სააკაშვილი ამბობდა, რომ იგი საქართველოში აუცილებლად ,,საპრეზიდენტო არჩევნების“ შემდგომ, შემოდგომაზე დაბრუნდება. იგი დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი ,,საპრეზიდენტო არჩევნებს“ წააგებს, გაყალბება კი არ გამოუვა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ჩვენი დროის ,,გიჟვრაცუა“, 2018 წ., 3 ივლისი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს იმასაც აუწყებს, რომ ,,ნაციონალური მოძრაობა“ და ,,ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში

შეთანხმდენენ სამ ძირითად პუნქტზე, რომელსაც ხელი მოაწერა ბრიუსელში, ევროპის სახალხო აპარატის პრეზიდენტმა ჯოზეფ დოუელმა. ეს ძირითადი პუნქტებია შემდეგი: I. მეორე ტურში გასულ საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდაჭერა. II. კამპანიის პერიოდში ერთმანეთის კრიტიკისა და შეტევისაგან თავის შეკავება. III. არჩევნების პირველ და მეორე ტურში მაქსიმალურად ამომრჩევლის მობილიზება, რადგან მათი თქმით, არჩევნებია ხელისუფლების შეცვლის გზა. (,, საქართველოს რესპუბლიკა", ,,დღეს ხვალისათვის" 2018 წ., 12 ივლისი)

გაზეთი იმასაც აუწყებს მკითხველს, რომ ,,ქართული ოცნების" გუნდში მიმდინარეობს კონსულტაციები საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და არის სურვილი, საპრეზიდენტო კამპანიაში ჩაერთოს ბიძინა ივანიშვილი. უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი ,,ქართული ოცნების" გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით - აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 14 ივლისი)

გამოითქვა ეჭვი, იქნება თუ არა საპრეზიდნეტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, რაც მალე გაირკვევა - სალომე ზურაბიშვილი აცხადებდა, რომ საპრეზიდენტო არჩვნებთან დაკავშირებით მასსა და ,,ქართული ოცნების" წევრებს შორის არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობდა. იმასაც აცხადებდა, რომ როცა საჭირო იქნებოდა ის ბრიფინგზე ყველაფერს გააცნობდა საზოგადოებას. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე" 2018 წ., 14 ივლისი)

,,საქართვეკლოს რესპუბლიკა" აქვეყნებს ინფორმაციას, რომ 10 ურეიტინგო პარტია გაერთიანდება და ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი ეყოლებაა. 10-მა ოპოზიციურმა პარტიამ მოძრაობა ,,ძალა ერთობაშია" დააფუძნა. ისინი საერთო საპრეზიდენტო კანდიდატს 17 ივლისს დაასახელებენ. ,,ახალი საქართველოს" ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, გაერთიანებული ოპოზიცია დაასახელებს კანდიდატს, რომელიც მზად იქნება საკუთარი თავი ქვეყანას მიუძღვნას. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ..მხოლოდ მთავრზე", 2018 წ., 17 ივლისი)

დრო მიდიოდა. ,,ოცნების“ კანდიდატი კი არ ჩანდა. - **,, ჩვენთვის უმჯობესია, გვიან დასახელდეს ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი“** - ამას პარლამენტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებდა, მმართველი გუნდისთვის ტაქტიკურად მომგებიანი იქნებოდა გვაინ დასახელდეს მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 19 ივლისი)

საპრეზიდენტო არჩევნების მარათონი გრძელდებოდა2018 წლის 17 ივლისს ქუთაისში, პუბლიცისტმა ერთ დროს ,,ნაციონალური მოძრაობის“ მტერმა და ახლა უკვე მათი გუნდის წევრმა თაკო ჩარკვიანმა, საზოგადოებას დიდი სიამაყით წარუდგინა ,,ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი, რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე. ამ ფაქტმა საზოგადოების დიდი ნაწილი გააოცა. მისი ეს საქციელი მიუთითებს, ,,ქართული ოცნების“ მიმართ შურისძიებაზე და ,,გულგატეხილობაზე“. პარადოქსია, რომ დიდი პოეტის ,,კარგ“ ქალიშვილს, არცთუ ურიგო პუბლიცისტს, რომელიც სისხლს უშრობდა ,,ნაციონალებს“ არა ერთი და ორი მძიმე დანაშაულისთვის და დაბეჯითებით ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას, ამ თავყრილობაზე თავი გამოიჩინა, როგორც მგზნებარე ორატორმა, რომელსაც ,,სააკაშვილი თავის ხროვიანად,“ ახლა იმიტომ მოსწონს, რის გამოც ადრე არ მოსწონდა. ამ ინფორმაციის სათაური - **,,ეს რა დაინახეს ჩემმა თავლებმა?!“** გაოცება- გაკვირვების საუკეთესო დასტურია. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ბუბა ჩართოლანი, 2018 წ., 19 ივლისი)

,,ივანიშვილს პრეზიდენტობის სურვილი არ აქვს“ - ამ ინფორმაციას აწვდის ივლისის ბოლოსკენ მმართველი გუნდი საზოგადოებას. მისი წევრები გადიან კონსულტაციას, თუ ვინ შეიძლება გახდეს ,,ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი. პარლამენტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძე გამორიცხავს ბიძინა ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებას. კობახიძე აცხადებს, რომ თავად ივანიშვილს არა აქვს პრეზიდენტობის სურვილი. კობახიძის აზრით, მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, პარტიის წარმომადგენელი,

ცნობილი ადამიანი უნდა იყოს. („საქრთველოს რესპუბლიკა“, „მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 24 ივლისი)

2018 წლის ზაფხულში მსჯელობა გაზეთის ფურცლებზე იმასაც ეხება, რომ ივანიშვილი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, მომავალ პრეზიდენტს ისე ადვილად ვერ გადააყენებს, როგორც ეს პრემიერის შემთხვევაში გააკეთა. ექსპერტ ლინკოლნ მიტჩელის ინტერვიუში საუბარია ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის გადაყენების თაობაზე და მომავალი პრეზიდენტის არჩევაზე. ექსპერტი მიტჩელი აღნიშნავს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი მმართელი გუნდიდან არ იქნება დასახელებული, რაც არის ძალიან კარგი იდეა, ამასთანავე იგი თვლის, რომ მმართველი გუნდის მიერ დასახელებული კანდიდატი დიდი ზეწოლის ქვეშ იქნება, რათა მან უნდა გააკეთოს ის, რაც „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელს სურს. პრეზიდენტის ინსტიტუტი იქნება მეტად დამოუკიდებელი და თავისუფალი. იგი გამორიცხავს ყოველგვარ ზეწოლას მმართველი გუნდის ხელმძღვანელობიდან. ლინკოლნ მიტჩელი ვარაუდობდა „ქართული ოცების“ კანდიდატის გამარჯვებას, არა დიდი უპირატესობით, როგორც აღმოჩნდა ეს ვარაუდი გამართლდა. („საქართველოს რესპუბლიკა“, მარი ჩუბინიძე, 2018 წ., 27 ივლისი)

„ოცნებას“ ოცნების პრეზიდენტი არ სურს“-„საქართველოს რესპუბლიკამ“ 2018 წლის 1 აგვისტოს ამ სათაურით გამოაქვეყნა ბიძინა ივანიშვილის თავლსაზრისი, რომ „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს არ დაასახელებს, თუმცა მზადაა მხარი დაუჭიროს ისეთ კანდიდატს, რომელსაც ის შესაფერისად მიიჩნევს. ამ განცხადებასთან დაკავშირებით პოლიტოლოგი, „ილიას უნივერსიტეტის“ პროფესორი და ამასთანავე საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დამფუძვნებელი გია ნოდია „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ ეს გადაწყვეტილება მიუთითებს პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ უპატივცემულობას. მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პირადი მოსაზრება, რასაც გუნდი უსიტყვოდ ეთანხმება. ივანიშვილს აღარ აქვს იმედი, რომ მის მიერ დასახელებული კანდიდატი პარტიის ერთგული დარჩება ხუთი წლის

მანძილზე. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მსოფლიოს ყურადღების ცენტრში“, 2018 წ., 1 აგვისტო)

2018 წლის 2აგვისტოს გაცხადდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართებოდა. გაზეთის ამ ნომრის პირველივე გვერდზე აღნიშნულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს ჩატარდება. ოფიციალურად ეს თარიღი ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ იგი არჩევნებში კენჭს აღარ იყრიდა. საპრეზიდენტო არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატურებს წარმოადგენდნენ: გრიგოლ ვაშაძე, დავით ბაქრაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 2 აგვისტო)

7 აგვისტოს გაზეთმა მკითხველს ამცნო, რომ სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო მარათონში ერთვება. მან განაცხადა, ,,მინდა ამ ქვეყნის სტაბილურობა. ეყოფა ამ ქვეყანას, რაც გაიარა ომი. ეყოფა ამ ქვეყანას შიდა კონფლიქტები და ტერიტორიების დაკარგვა“ (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 7 აგვისტო)

ამავე ნომერში გაზეთმა საზოგადოებას აუწყა, რომ შალვა ნათელაშვილი ოფიციალურად დარეგისტრირდა საპრეზიდენტო კანდიდატად. **გვეშველება, ახლა მართლა გვეყოლება ნამდვილი პრეზიდენტი!**-წერს ,,ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი მიხეილ ქუმსიშვილი. იგი მიიჩნევს ნათელაშვილს ერთადერთ ადამიანად, რომელსაც შეუძლია დაასრულოს და წერტილი დაუსვას ივანიშვილის ოლიგარქიულ მმართველობას. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 7 აგვისტო)

9 აგვისტოს გაზეთი ბეჭდავს მასალას **,,გიჟი პრეზიდენტის ახირება, თუ რაღაც უცნაური გარიგება ჩვენს საუკუნოვან მტერთან“**, რომელშიცსაქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი 2008 წლის აგვისტოს ომზე საუბრისას სააკაშვილს ომის დაწყებაში ადანაშაულებს. მისი აზრით, იმ დროს, როცა საქართველოს არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა და ყველა მოკავშირისგან

გაფრთხილებული იყო, რომ არანაირი ნაბიჯები არ გადაედგა, რადგან არანაირი დახმარება არ ექნებოდა მოკავშირეებისგან. ,,პროვოკაციებზე აყოლა და საკუთარი ტერიტორიაზე შენი მოსახლეობის დაბომბვის დაწყებას ჰქვია უგუნურობა და ,,გიჟი" პრეზიდენტის ახირება." - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა, როდესაც მან მუხადგვერდის სასაფლაოზე 8 აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს მიაგო პატივი.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავრაზე", 2018 წ., 9 აგვისტო)

,,საპრეზიდენტო არჩევნებში ლევან ვასაძე საუკეთესო ეროვნული კნდიდატი იქნება"- წერს 11 აგვისტოს ,,თავისუფალი სქართველოს" ლიდერი კახა კუკავა. მისი აზრით, დღეს არსებული ვითარების გამო, რომელიც შეეხება მარიხუანას ლეგალიზაციას, ანტიდისკრიმინაციულ და ასევე საქართველოს მიწების, ტყეების უცხოელებზე მიყიდვის კანონს, ამ ძირითად საკითხებზე არცერთი საპრეზიდენტო კანდიდატი არ საუბრობს. აქედან ჩანს, რომ მავანნი მომხრე არიან მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციისა. ამიტომ საჭიროა მისმა გუნდმა აირჩიოს ისეთი კანდიდატი, რომელიც ქართველების ტრადიციული, ქრისტიანული ფასეულობების დამცველი იქნება. სწორედ ასეთი კანდიდატი არის ლევან ვასაძე.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 11 აგვისტო)

,,მაინც მაქვს იმედი ამ მხარდაჭერის"... - დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი აგვისტოს შუა რიცხვებიდან იწყებს 26 ათასამდე ხელმოწერების შეგროვებას, რათა ცესკო-მ ოფიციალურად დაარეგისტრიროს პრეზიდენტობის კანდიდატად. ზურაბიშვილი აცხადებს, რომ იმედი აქვს მოსახლეობის მხარდაჭერის, რადგან მას ხალხის არჩეულმა პარტიამ მხარი დაუჭირა. (,,საქართველოს რესპუბლიკა," ,,ეს ჩვენი საქართველოა", ,,2018 წ., 16 აგვისტო)

,,ქართულ ოცნებას" სურს სუსტი კანდიდატი და ზურაბიშვილი ამომბს, რომ მე ვარ ასეთიო"- ასე შეაფასა დავით უსუფაშვილმა დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წარდგინება ,,ოცნების„ მიერ. ის თვლის, რომ ზურაბიშვილი იქნება სუსტი პრეზიდენტი და მმართველი გუნდისთვის ადვილი სამართავი. ამას ადასტურებს

თავისივე სიტყვებით სალომე ზურაბიშვილიც -აცხადებს უსუფაშვილი.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ეს ჩვენი საქართველოა“, 2018 წ., 16 აგვისტო)

,, გადადგეს მომავალი პრეზიდენტი“- ამ სათაურით გაზეთი საარჩევნო ვითარებასა და კანდიდატების უპირატესობას აღნიშნავს. ავტორი ასახელებს სამ ძირითად კანდიდატს, რომელთა შორისაც აქტიური ,,ბრძოლა გაიმართება“ ესენია: სალომე ზურაბიშილი-ე.წ. დამოუკიდებელი კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე-ე.წ. მრავალპარტიული კანდიდატი და დავით ბაქრაძე- ე.წ. ,,ევროპული საქართველო“.

სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა, თუ ის მართლა ,,ოცნების“ ფავორიტი გახდება, ქვეყანა სრულიად დაკარგავს ,,დემოკრატიულობას“, თუმცა დადებითი მხარეც აქვს ამ პროცესს. დასრულდება კოჰაბიტაცია და პრეზიდენტის ტრიბუნა გახდება საქართველოს მოსახლეობის ტრიბუნა. რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძეს და მის მხარდამჭერ ტელეკომპანია ,,რუსთავი-2-ს“, პროვოკაციებისგან თავისუფალი იქნება, მაგრამ იმ ათი პარტიული ,,ლიდერისა“ და მათი ,,ელიტისთვის“, რომლებსაც ,,ნამცხვრიდან კარგი ნაჭერი“ კი არა, ,,ბუს კვერცხებიც“ არ შეხვდებათ, მაქსიმუმ ნინო ანანიაშვილთან ერთად გადაიღონ ფოტოები და ,,ზალაში“ დაჰკიდონ“.

სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს, 28 ოქტომბრის არჩევნებზე და მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდებს, რათა შეასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, რადგან მნიშვნელოვანია თუნდაც ,,მეორე პოლტიკური ძალის სწორად არჩევაც“. რადგან მეორე პოლიტიკურ ძალას გაცილებით მეტი უფლება გააჩნია, ვიდრე გამარჯვებულს. ავტორი დასკვნაში მკითხველისგან ითხოვს გულწრფელობას და საკუთარ თავში შეცდომის ძიებას, რადგან ქართველებს კარგად გამოსდის შეცდომების სხვაზე გადაბრალება და არა საკუთარი თავის დამუნათება. სწორედ ამიტომ ის რიტორიკულად მიმართავს გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს, ,,გადადგეს მომავალი პრეზიდენტი“. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ., 18 აგვისტო)

,,ოოო, მელანო, მელანო, ისევ ეწევი პაპიროსსა?!"- ამ მასალაში ძირითადად საუბარია საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის პროცესებზე, რომელსაც სტატიის ავტორის თქმით, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი თავის თავზე იბრალებს და ამტკიცებს, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ პროცესში. ავტორი ამ პროცესის „მიწერას" ხალხის მოტყუებად მიიჩნევს და ,,ყულაბაში ხურდების ჩაჩხრიალებას" უწოდებს, რაც წინასაარჩევნო სპეკულირებად, ხოლო ეს ცრუპენტელობა ხალხის შეურაცხყოფად მიაჩნია. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ნუგზარ ფოფხაძე, 2018 წ., 23 აგვისტო)

საპრეზიდენტო მარათონის მთავარ თემად მომავალი პრეზიდენტის სასახლეში შესვლა-არშესვლის საკითხი დადგა. ,,ნეიტრალურმა" პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა საკუთარი კანდიდატურის დასახელებისთანავე პრეზიდენტის სასახლე გაიხსენა. სანამ მმართველი გუნდი პრეზიდენტობის კანდიდტს დაასახელებდა, მანამდე მედია ,,გამორჩეული" თავდადებით იხილავდა ყველას, მაგრამ აქცენტს ზურაბიშვილზე აკეთებდა. საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი, უცხო ენების მცდონე, დიპლომატი, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სააკაშვილის ხელდასმით, შემდეგ სააკაშვილის პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებული და ოპოზიციაში გადასული.

სტატიის ავტორი ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს უკვე გამარჯვებულ პრეზიდენტად მიიჩნევს. არგუმენტად კი იგი ივანიშვილის კონსულტაციას, საფრანგეთის საელჩოსთან, საფრანგეთის მოქალაქეობიდან გასვლის განცხდებით მიმართვას იშველიებს. ავტორი მკითხველს რიტორიკული შეკითხვით მიმართავს - ,,ღირს საფრანგეთის მოქალაქეობის კითხვის ქვეშ დაყენება საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმისათვის, თუ გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს?"

საპრეზიდნტო კამპანიის დაწყებისთანავე, ს. ზურაბიშვილმა ვრცლად ისაუბრა ათონელის ქუჩაზე არსებულ სასახლეზე - მომავალში პრეზიდენტის სასახლედ წოდებულზე, მის დადებით მხარეებზე. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სასახლე უფრო შეეფერება ქალ პრეზიდენტს.

სტატიის ავტორი ხაზს უსვამს პრეზიდენტის ფუნქციებს. ს. ზურაბიშვილის განცხადებით ის იქნება სხვანაირი, ,,თავისუფალი“ პრეზიდენტი - ივლის ფეხით, ბაზარშიც წავა და ა.შ. ავტორი ამ ყველაფერს პრეზიდენტის პროტოკოლის დარღვევად მიიჩნევს. ,,ბოლოს და ბოლოს, თუ გვაქვს სახელმწიფო და გვყავს პრეზიდენტი, სასახლეც უნდა გვქონდეს, შესაძლოა იმაზე უკეთესიც, რაც არის, მიუხედავად იმისა პრეზიდენტს ექნება თუ არა ფართო ფუნქციები, პრეზიდენტობაც უკვე ფუნქციაა!!“ (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ჰამლეტ ჭიპაშვილი, 2018 წ., 23 აგვისტო)

,,ფრჩხილებით, კბილებით, ხოხვით..“ ისევდაისევ საქართვეოს პრეზიდენტის არჩევნებზე - დამოუკიდებლობის ოცდაათწლიან პრიოდში იმდენი ბოროტება ვიწვნიეთ პრეზიდენტებისგან აშკარად თუ ფარულად, რომ სტატია იწყება ფილოსოფოსების მიერ, როგორც ქმედების, ასევე სიტყვის - ,,ბოროტების“ მნიშვნელობის განმარტებით.

მომავალ პრეზიდენტს ისეთი შეკვეცილი უფლებები ექნება, რომ იგი საზოგადოებისთვის საშიში აღარ იქნება, თუმცა, ,, ვაი, ისეთ პრეზიდენტს, რომლის დადებითი მხარე მხოლოდ ის იქნებ, რომ საზოგადოებას ზიანს ვერ მოუტანს“ - ამბობს სტატიის ავტორი.

გაზეთი ასევე პრეზიდენტ მარგველაშვილის გნცხადებას იხსენებს, სადაც იგი სექსუალურ ცხოვრებაზე საუბრობდა, რასაც ავტორი ამაზრზენს და მიუღებელს უწოდებს. მისი აზრით, სახელმწიფოს მეთაურის ყოველი უღირსი საქციელი მიუღებელია და ასეთ პრეზიდენტს ღვთის მტრად მიიჩნევს. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ვიქტორ რცხილაძე, 2018 წ., 25 აგვისტო)

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვაშინგტონში მის თავისუფლად და სამართლიანად ჩატარების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ. ამ დრომდე, მმართველ პარტიას თავისი კანდიდატი არ წარუდგენია. ,,ქართული ოცნების“ არაპირდაპირი მხარდაჭერა სალომე ზურაბიშვილს აქვს, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მიიღებს. სწორედ, ამ მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო ორგანიზაციები და

საქართველოს მოკავშირეები ახლოდან აკვირდებოდნენ, საქართველოში წინასააჩევნო პერიოდს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს სჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლება დაიცვას კონსტიტუციური ბალანსი ძალაუფლების მქონე შტოებს შორის. ისინი, ასევე ხაზს უსვამდნენ არჩევნების მნიშვნელობას, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით ბოლო არჩევნებია, სადაც პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,შინ და გარეთ", ამერიკის ხმა, 2018 წ., 4 სექტემბერი)

,,მიველ ვნახე არჩევნები" - ამ მასალაში ავტორი არჩევნების მანკიერ სისტემაზე საუბრობს. იგი იხსენებს 90-იანი წლების დასაწყისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს და ქართველი ხალხის მიერ გამოვლენილ ერთსულოვნებას. ავტორს არა აქვს იმედი, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. (,,საქართველოს რესპუბლიკა", გია პლატონიშვილი, 2018 წ., 6 სექტემბერი.)

,,მაინც ვის დაუჭერს მხარს ოცნება?" - ამ ინფორმაციაში საუბარია პარლამენტის ვიცე-სპიკერის თამარ ჩუგოშვილის განცხადებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ უკვე საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციის ვადა იწურება და ამიტომ პოლიტსაბჭოს სხდომაზე აუცილებლად ჩამოყალიბდებიან და დაასახელებენ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელსაც მმართველი გუნდის წევრები მხარს დაუჭერენ. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 8 სექტემბერი)

,,ქართული ოცნების კანდიდატი მე ვიქნები" - ამ მასალით რეჟისორი გიორგი შენგელაია მკითხველს აუწყებდა, რომ მმართველი გუნდის მხარდაჭერით საპრეზიდენტო მარათონში ჩაერთვებოდა და კენჭს იყრიდა. ის თავის თავს მიიჩნევდა ძლიერ, ორგანიზების ნიჭის მქონე პოლიტიკოსად. ის ფიქრობდა, რომდ პოლიტსაბჭოს სხდომაზე ბიძინა ივაიშვილს და საარჩევნო პროგრამასაც წარუდგენდა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 8 სექტემბერი)

,,სამგლე ნაციონალებს, ცხადია, პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი თვალში არ მოსდით" - ამ სათაურით გამოქვეყნებულ მასალაში ავტორი ახასიათებს თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატს. მისი აზრით, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არის

პატრიოტი, ევროპული ყაიდის პოლიტიკოსი. მას მიღებული აქვს ფრანგული განათლება და შთამომავალია დიდი საზოგადო მოღვაწის - ნიკო ნიკოლაძის. შესაძლებელია, საქართველოს ეყოლოს პირველი ქალი პრეზიდენტი, ამიტომ მოუწოდებს ამომრჩეველს, რომ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვას.

რაც შეეხება პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს - გრიგოლ ვაშაძეს, დავით ბაქრაძსა და დავით უსუფაშვილს სასაცილო პიროვნებებად მოიხსენიებს. გრიგოლ ვაშაძეს პოლიკაპრე კაკაბაძის პიესის პერსონაჟს, ,,ყვარყვარე თუთაბერს" ადარებს. ბაქრაძე და უსუფაშვილი ის პოლიტიკოსები არიან, რომლებმაც პოლიტიკაში ყოფნის დროს ვერაფერი შეცვალეს და ახლა ცდილობენ ამომრჩევლები ცრუ დაპირებებში დააჯერონ. ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს, კვლავაც სჯერა ამ ცრუპენეტელა ინდივიდებისო. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ვაჟა ჟღენტი, 2018წ., 8 სექტემბერი)

,,არ დაუჯეროთ, გვატყუებენ !" - ამ მასალით აღნიშნულია, თუ რამდენდ მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიურობა არჩევნების დღეს. ,,უხილავი ხელების „ ჩარევა მოქმედებს ხალხზე და საზოგადოების დიდი ნაწილი თვილის, რომ არჩევნებში მონაწიელობის მიღებას არანაირი მნიშვნელობა აქვს. ეს მოსზრება კი არასწორია! არჩევნების ბედს ხელისუფლება და მისი ადმინისტარციული რესურსი კი არა, ხალხის ნება წყვეტს! ავტორი ასევე გახაზავს დღევანდელი ახალგაზრდების ინდიფერენტიზმს და გულცივობას არა მხოლოდ არჩვენებისადმი, არამედ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობისადმი.

ავტორი დასკვანში აღნიშნავს, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩვენები არსებითად წყვეტს საქართველოს მომავალს. თავის ფავორიტ კანდიდატად - თეიმურაზ შანშიაშვილს მიაჩნია, რომელსაც ჯერ-ჯერობით ობიექტური ნაკლი ვერ მოუძებნეს გარდა იმისა, რომ ის შევარდნაძის დროს - მერი და გუბერნატორი იყო. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ზაურ ნაჭყებია, 2018 წ., 8 სექტემბერი.)

,,სიმღერა ოთხასლარიან პენსიაზე" - ამ სათაურით ლექსად გამოთქმული მასალა არის დაბეჭდილი, რომლის ძირითადი აზრია, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის" ცრუ

დაპირება და ტყუილია პენსიის გაზრდა 400 ლარამდე.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ალექსი მეჭიაური, 2018 წ., 11 სექტეემბერი)

,,სელპის უკბილო შაყირი“ - ,,ერთი სიტყვით, ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნებისას, როგორც იტყვიან, გვერდზე, დედა შვილს არ აიყვანს ხელში საქართველოშიო“. ამ სათაურით ავტორი ოქტომბრის არჩევნების დღეს მოსალოდნელ აურზაურზე მიგვითითებს. ასევე, აღნიშნულია, რომ ნაციონალური მოძრაობა უკანასკნელი ბრძოლისათვის ემზადება და დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს ყველანაირად აქილიკებს. რას აღარ აბრალებენ, რას აღარ უწუნებენ, ფრანგულ აქცენტსაც კი! ავტორს დიდი იმედი აქვს, რომ ნაციონალური მოძრაობა არ გაიმარჯვებს , რადგან ეს ხალხი ქყვეყანას ბევრად უკან დასწევს! (,,საქართველოს რესპუბლიკა“, სანდრო ალექსიძე, 2018 წ., 11სექტემბერი)

,, ,,ქართული ოცნება“ საპრზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს“ - პარლამენტის თავჯდომარის ირაკლი კობახიძის აზრით, სალომე ზურაბიშვილს შეუძლია გახდეს საქართველოს ისტორიაში პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი და პრეზიდენტის უფლება- მოსილებები განახორციელოს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის, არამედ ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით. იგი საზოგადოებას ამ კანდიდატურის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 სექტემბერი)

,, გამართლდა მოლოდინი, ძალიან გახარებული ვარ“ - ამ მასალით სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ძალიან მადლიერია მმართველი გუნდის, რადგან მათგან მხარდაჭერა მიიღო და საპრეზიდენტო კანდიდატად წარადგინეს. ის ამ ფაქტს, უკვე გამარჯვებას უწოდებს და ამის შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების დიდი იმედი აქვს. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 სექტემბერი)

,,მაქსიმალურად გამოვიყენებთ ყველა რესურსს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს“ - ამ მასალით პარლამენტის თავდაცვისა და

უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე ირაკლი სესიაშვილი სალომე ზურაბიშვილს უნიკალური გამოცდილების მქონე, ძალიან პრინციპულ ადამიანად მიიჩნევს. ,,ოცნება“ ყველა რესურს გამოიყენებს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 სექტემბერი), ხოლო სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ ავლაბრის რეზიდენციის აურა და ჰავა არ მოუხდება. ათონელის ქუჩაზე არსებული რეზიდენცია მის სახლთან უფრო ახლოსაა და ხშირად ფეხით შეძლებს გადასვლას და უკან დაბურნებას. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთვარაზე“, 2018 წ., 11 სექტემბერი)

ამასთან, სალომე ზურაბიშვილის აზრით, **,,ნაციონალებს“ მხოლოდ სიმართლე თუ დაადუმებს “,** რადგანაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი აგვისტოს თვეში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ,,გიჟი“ პრეზიდენტის და მისივე ბოროტმოქმედი ბანდის კისერზეა. ის არაფერს ამტკიცებს, თუმცა ფაქტები ტელევიზიების არქივში ინახება. რუსეთი არის ოკუპანტი, აგრესორი, რომელმაც ომი 1921 წლიდან დაიწყო, როცა შემოვიდა წითელია არმია, რის გამოც იგი უცხოეთში დაიბადა. თუ ეს თემა მან არ იცის, როგორც ზოგიერთი ბრძანებს, მაშინ საერთოდ არაფერი სცოდნია. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დღის ციტატები“, 2018 წ., 13 სექტემბერი)

ამასთან, გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენა. მოსახლეობასთან შეხვედრა, წინასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია ქალაქ ქუთაისში გაიმართა. ზურაბიშვილი მხარდამჭერებს კახი კალაძემ წარუდგინა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ამერ-იმერში“, 2018 წ., 13 სექტემბერი.)

 სალომე ზურაბიშვილმა ქუთაისში სიტყვით გამოსვლისას იმ მიზეზებზე ისაუბრა, რატომაც მან არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. მან ხაზი გაუსვა მის პროფესიულ კარიერას. საერთაშორიშო დიპლომატიაში 30 წლიან გამოცდილებას, ასევე არაერთი წელი მუშაობდა პროფესორ- მასწავლებლა და გამოცდილება აქვს შიდა პოლიტიკური პროცესებში მონაწილეობის. ის ასევე აღნიშნავს, რომ ,,მოდის ,,ქაჯების“ გადასაყრელად, რადგან ტყუილი და სიძულვილი ყველას ამოუვიდა ყელში.“ (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ამერ-იმერში“, 2018 წ., 13 სექტემბერი.)

გაზეთი აქვეყნებს ,,BBC" -ს მიერ გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო ,,ნიუსპრესის" პუბლიკაციას, რომელშიც ართოდაა განხილული სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა. ანალიტიკოსთა მტკიცებით, მართალია, სალომე ზურაბიშვილი ,,ქართული ოცნების" წევრი არ არის, მაგრამ ძნელია მას ,,დამოუკიდებელი „ კანდიდატი უწოდო, რადგან მისი ქცევები დამარწმუნებელი არ არის. ,,ოცნება" ფსევდოდემოკრატიული სპექტაკლის გათამაშებას ცდილობს. რაში სჭირდება ,,ქართულ ოცნებას" სალომე ზურაბიშვილი? მმართველი გუნდის მთავარი პრობლემა მათი კანდიდატის წაგება კი არაა, არამედ ოპოზიციური ბლოკის ,,ძალა ერთობაშია" კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის სავარაუდო გამარჯვებაა. ანალიტიკოსების თვალსაზრისით, რომელი კანდიდატიც არ უნდა ყოფილიყო, სალომე ზურაბიშვილი თუ სხვა ვინმე, თუ მას ხელისუფლება მხარს დაუჭერდა, იგი მაინც მათი ფავორიტი იქნებოდა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,პოლიტიკური ლაბირინთები", 2018 წ., 15 სექტემბერი)

2018 წლის 18 სექტემბერს სალომე ზურაბიშვილი ,,საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს განუმარტავს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას. ის თვლის, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და აგრესორი ქვეყანა 1801 წლიდან , როდესაც დაირღვა მეფე ერეკლეს მიერ დადებული ტრაქტატი, 1921 წელს, როდესაც დაირღვა 1920 წელს საქართველოს სუვერენიტეტი, რის გამოც მისი წინაპრები იძულებულნი იყვნენ საფრანგეთში გადასახლებულიყვნენ. რუსეთის მიმართ მისი დამოკიდებულება 60 წელია უცვლელია. საქართველოს გათავისუფლება იყო, არის და იქნება მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების მთავარი მრწამსი, მიზანი და ოცნება. - ,,დაიჯერეთ ნაციონალებო". (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 18 სექტემბერი),

იწამეთ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის განმარტება, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი განცხადება რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით არის არასწორად ინტერპრეტირებული ოპონენტების მიერ.

,,მე როდესაც ვამბობ, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, არ ვამბობ, რომ საქართელო არის დამნაშავე, არ ვამბობ, რომ საქართველომ დაიწყო ომი, არ ვამბობ, რომ რუსეთი არ არის აგრესორი და ოკუპანტი. როგორც ჩანს ცოტა ძნელი გასაგებია, ვამბობ, რომ იმდროინდელმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა დაუშვა დიდი შეცდომა და ჩაიდინა დიდი დანაშაული, რის შედეგსაც ვიმკით ჩვენ, ჩვენი დევნილები და ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაუცველი ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეები" (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 18 სექტემბერი)

სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეეხება, გამოეხმაურა პარლამენტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძე და ის განცხადება დადებითად შეაფასა. მისი აზრით, სალომე ზურაბიშვილმა თავისი სახელი დაარქვა რუსულ ოკუპაციას და იმ უმძიმეს დანაშაულს, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და ვაშაძემ 2008 წელს ჩაიდინეს. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 18 სექტემბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა" აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ეკლესია წინა საარჩევნო პროცესში არ ჩაერევა. დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ შემდეგი განცხადება გააკეთა: ,,რამდენადაც მახსოვს, უწმინდესის სურვილი იყო, რომ ჩვენ წინასაარჩევნო პროცესებში არ ჩავერიოთ, თუმცა ვატყობ, რომ ემოციური განცხადებები კეთდება. ალბათ, მათ რაღაც არგუმენტი აკეთებინებთ ამას. არა მგონია, რომ მაინცდამაინც მათი ნათქვამი ორიენტირებული იყოს არჩევნების შედეგებზე. შესაძლოა, სხვა გამონათქვამების გამო პასუხობენ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ სასულიერო პირები წინასაარჩევნო პროცესში არ უნდა ვერეოდეთ." (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,დღის ჭირ-ბოროტი", 2018 წ., 20 სექტემბერი)

გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმისა, საფუძველი გახდა პროკურატურისადმი საქართველოს საარჩევნო კომისიის თავჯდომარის 2018 წლის 18 სექტემბრის მიმართვა, საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერთა სიის

შესაძლო გაყალბების თაობაზე. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ვიცქიროთ მომავლისკენ“, 2018 წ., 20 სექტემბერი)

,,წავალ მივიღებ ამერიკის მოქალაქეობას და მალე გავხდები სენატორი“ -ამ სათაურით გაზეთში ქვეყნდება რეჟისორ გიორგი შენგელაიას განცხადება, რომელსაც პრეტენზია აქვს პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში მყოფ ,,ქართული ოცნების“ წევრებთან. ,,ეს არჩევნები არ იქნება სამართლიანი.“ ,,წინასწარმეტყველებს“ რეჟისორი. მან მოხსნა თავისი კანდიდატურა და ჩამოაყალიბა მოძრობა - ,,ხალხის ნება“. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 21 სექტემბერი)

,, ნაცმოძრაობა ძალიან მძიმე და მწარე მარცხს იწვნევს ამ არჩევნებზე და ჩვენ ვართ ამაზე პასუხისმგებელი“. - ამ სათაურით გაზეთში ქვეყნდება ირაკლი კობახიძეს განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ -,,ახლა ისინი უკვე გადასული არიან საარჩევნო სიების გაყალბებაზე. მათ თავისივე სატელიტების სახელით წარადგენს გაყალბებული სიები, რაც მიანიშნებს იმას, რომ ,,ნაცმოძრაობას“ უჭირს 30 000 ხელმოწერის შეგროვება გაყალბების გარეშე,“ რადგან მოძრაობამ ,,სახელმწიფო ხალხისათვის“ საარჩევნო სიაში პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმოწერა და პირადი მონაცემები შეიტანა, მისი ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით მმართველმა გუნდმა უკვე მიმართა უწყებათა შორის კომისიას.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 21 სექტემბერი)

,,პოპულისტების დოღი“ – ამ სათაურით გაზეთი აქვეყნებს ორი პოლიტოლოგის: დავით ზარდიაშვილისა და რამაზ საყვარელიძის შეფასებას პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით. დავით ზარდიაშვილი ემხრობა სალომე ზურაბიშვილის თვალსაზრით და მიიჩნევს, რომ მან სიმართლე თქვა. ეს სიმართლე ყველა საერთაშორისო დოკუმენტში აღნიშნულია. რაც შეეხება ოპონენტების და ანალიტიკოსების შეფასებებს, რომელსაც მოჰყვა აურ-ზაური, იგი თვლის, რომ მათ სიმართლის გაგების უნარი არ აქვთ.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, სალომე ზურაბიშვილს მისი წინანდელი განცხადებები რუსეთ - საქართველოს ომთან დაკავშირებით ბრალდებები არ უარუყვია. მან ამ საკითხზე მხოლოდ დამატებითი განმარტებები გააკეთა. რამაზ საყვარელიძის აზრით , პრეზიდენტობის კანდიდატს არ უნდა წამოეწია ისეთი თემები, რომელიც ხალხში გაღიზიანებას და აგრესიას გამოიწვევდა.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების მიზეზებზე ზურაბიშვილმა პოზიცია შეარბილა, თუმცა ოპოზიცია კვლავ ითხოვს, რომ მოხსნას კანდიდატურა. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგი უგულავა ჯოჯოხეთის მოწყობით დაემუქრა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, თამთა ქარჩავა, 2018 წ., 21 სექტემბერი)

სალომე ზურაბიშვილმა ამბროლაურში ამომრჩევლებთან შეხვედრისას ძალზე საინტერესო განცხადება გააკეთა: **,, ვეძებ პატარა რაჭულ სახლს“,** რომ არ ვიყო სასახლეში მჯდომი პრეზიდენტი, მნიშვნელობა არ აქვს რომელ სასახლზე იქნება საუბარი. მე უკვე ვეძებ პატარა რაჭულ სახლს, რათა ხშირად ჩამოვიდე და თქვენგან მოვისმინო იმ პრობლემების შესახებ, რომლის გაგებას აქ ადგილზე ყოფნა სჭირდება“. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 22 სექტემბერი)

,,ყორღანები გათეთრებულან“ -ამ მასალით გაზეთი ერთი მანდილოსნის წინააღმდეგ ნაციონალური ბანდის ამხედრებაზე წერს. ისევ დიდი გულისტკივილით იხსენებს 2007 წლის აგვისტოს, თუ როგორ გამოყარა ქუჩაში უპატრონო ძაღლებივით ნაციონალების გაძლიერებულმა პოლიციამ. გამომცემლობა ,,სამშობლოს“ შენობიდან თითქმის 30 რადაქტორი და 3000 ჟურნალისტი. ასევე მწვავედ აკრიტიკებს სალომე ზურაბიშვილის მიმართ აგორებულ ტყუილებს და გმობს ცილისწამებებს მიმართულს ზურაბიშვილის დამცირებისკენ.

,,რუსთავი-2“ ახალ ბრალდებებს უყენებს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ახლა კი არ გამხდარა მოღალატე, არამედ ჯერ კიდევ 1992 წელს, როდესაც ის თურმე ებრძოდა ეროვნულ მოძრაობას, კერძოდ, ზვიად გამსახურდიას. ქართულ საზოგადოებას, რომელსაც ღიმილიც კი წართმეული აქვს, ,,რუსთავი-2 ამ ღიმილის

უნარწართმეულ საზოგადოებას 24- საათიანი ,,გამოფენით“ აღიზიანებს. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ გოგიაშვილი, 2018 წ., 22 სექტემბერი)

,,ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი, პრეზიდენტობის დამოუკიდბელი კანდიდატი მედიას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ჟურნალისტები ორიენტირებულები არიან, გააშუქონ ინციდენტები და არავის აინტერესებს კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრის ამბები. მისი თქმით, როცა ვინმე ,,გამოხტება“ და მას მოღალატედ შერაცხავს, მედია სწორედ ამაზე აკთებს აქცენტს.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 26 სექტემბერი)

მართალია, ამბობენ პოლიტიკური ბრძოლის დროს ყველა ხერხი მართებულია, თუმცა ქართულ წინასაარჩევნო კამპანიას თუ გადავხედვთ, ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის ოპოზიციის მხრიდან განსაკუთრებული ტაქტიკის გამოგონება არც არის საჭირო. მარიხუანას თემამ, რომელიც ხელისუფლებამ, რატომღაც, მაინცდამიანც წინასაარჩევნოდ გამოიტანა განსახილველად, ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილი კანდიდატის მიერ კანაფის თემის ლობირებამ საზოგადოების დიდი ნაწილი და ეკლესია მის წინააღმდეგ აამხედრა. ამით, კი ისარგებლა ოპოზიციამ და ,,ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც აქამდე მეტროსადგურებთან საკუთარი მხარდამჭერების სიებს აგროვებდა, ტაქტიკა შეცვალა და მარიხუანას მოყვანის მოწინააღმდეგეთა სიის შეგროვებაზე გადაერთო. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ლალი ზირაქიშვილი, 2018 წ., 26 სექტემბერი)

,,ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს კართაგენი“ - ამ მასალაში აღნიშნულია იმ ბინძური კამპანიის წარმართვაზე, რომელსაც ოპონენტები დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მიმართ ახორციელებენ. ლანძღვაზე აგებული ვიდეორგოლების განთავსებით რამდენიმე ტელეკომპანიამ მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. კომისიის განცხადებაში ძირითადად საუბარია, იმ დარღვევებზე, რომელიც პოლიტიკურ რეკლამებშია. სამაუწყებლო რეკლამის საკითხები, რომლის

ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს პოლიტიკური რეკლამა, რეგულირდება საქართველოს კანონით ,,მაუწყებლობის შესახებ“. აღნიშნული კანონით იკრძალება არასათანადო და არაეთიკური რეკლამის განთავსება.

ავტორი ,,ნაციონალური მოძრაობასა“ და ,,ევროპული საქართველოს“ წევრებს და მათ პარტიებს ,,კართაგენს„ უწოდებს და ამბობს, რომ ,,კართაგენი უნდა დაინგრეს.“ ამიტომ ამომრჩევლებს აქტიურობისკენ და თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობების შესრულებისკენ მოუწეოდებს.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ., 29 სექტემბერი)

პირველ ოქტომბერს, ,,ქართული ოცნების“ ექვსწლიანი მმართველობა, საგანგებო ბრიფინგზე პარტიის გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ შეაჯამა. ისაუბრა მათი მმართველობის დროს გატარებულ რეფორმებზე, კიდევ არსებული პრობლემების აღმოფხვრასა და მომავალ გეგმებზე. მან მოხსენების ბოლოს ამომრჩეველს პრეზიდენტობის დმოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის 28 ოქტომბერის საპრეზიდენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

,,ამ არჩევნებით უნდა დავამკვიდროთ ახალი, ჯანსაღი და დემოკრატიული კონსტიტუციური ტრადიცია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. სწორედ ასეთი პრეზიდენტი იქნება ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი: დიდი ქართველების შთამომავალი ქალბატონი, სამაგალითო მეუღლე, დედა და სამშობლოს პატრიოტი...'' (,,საქართველოს რესპუბლიკა,“ ,,მხილებას სასჯელი უნდა მოჰყვეს!“, 2018 წ., 2 ოქტომბერი)

,,პროვოკაციები არის ,,ნაციონალური მოძრაობის ხელწერა“ - განაცხადა პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი თქმით, ამის მტკიცებულებები არის ის, რაც ხდება პრაქტიკულად ყოველდღიურად მისი გამოსვლების დროს რეგიონებში, მაგრამ ეს მას არ შეაჩერებს არა მგონია, მთავარია, მისი ურთიერთობა ამომრჩეველთან. ქ.-ნი ზურაბიშვილის თქმით , მას ყველაზე დიდ ხარვეზად მიაჩნია ის, რომ დიალოგი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არ

იყო სათანადო დონეზე. (,,საქართველოს რესპუბლიკა," ,,მხილებას სასჯელი უნდა მოჰყვეს!", 2018 წ., 2 ოქტომბერი)

გ.ხაინდრავამ ,,რეპორტიორთან" ინტერვიუში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითისაუბრა და აღნიშნა, რომპრზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი პირველივე ტურში მოიპოვებს გამარჯვებას. მისი თქმით, სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილს ,,მოღალატეს" უწოდებენ და მისი პლაკატები ქუჩაში ნაგვის ურნებზე არის გაკრული, წარწერით ,,სალომე მოღალატეა". ამ ფაქტს ის შავ და ბინძურ პიარას უწოდებს. ხაინდრავა ,,ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს პუტინის მიერ გამოზრდილ ლეკვად მოიხსენიებს. მისი თქმით, ვაშაძეს და ბოკერიას მსგავსი პოლიტიკოსები ნაგვის ყუთში უნდა იქნეს მოსროლილი. სამწუხაროა, ის ფაქტი, რომ დღემდე ,,ნაციონალური მოძრაობის წევრები ე.წ. ,,შავი ძალა" პარლამენტში არიან. გოგი ხაინდრავა ასევე ეხება იმ თემას, რაზეც ოპოცზიცია აპელირებს წინა საარჩევნოდ - ,,2008 წლის აგვსიტოს ომი საქართველომ დაიწყო". ის ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, გამთენიისას ცხინვალს სააკაშვილმა გაუხსნა ცეცხლი და სწორედ ის არის დამნაშავე. გრიგოლ ვაშაძე ომის დროს რუსეთის მოქალაქე და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. ინტერვიუს ბოლოს იგი საუბრობს მის მოლოდინებზე საპრეზიდენტო არჩვნებთან დაკავშირებით. მას იმედი აქვს, რომ ყველაზე მეტად მომზადებული, ევროპულად მოაზროვნე და ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი, რომელმაც შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტის რანგში, არის სალომე ზურაბიშვილი. მას ასევე იმედი აქვს, მართმადიდებელი, გონიერი, ნიჭიერი ხალხის სწორი გადაწყვეტილების.,, სალომე ზურაბიშვილი არის ერთადერთი გზა ,,შავი ძალის" დამარცხების." - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ. (,,საქართველოს რესპუბლიკა," მარიამ პაიჭაძე, 2018 წ., 2 ოქტომბერი)

პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძემ ბლიც-ინტერვიუში, რომელიც გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდეტმა ჩაწერა, ისაუბრა წინა საარჩვნო

კამპანიასა და არჩევნების სავარაუდო მოლოდინებზე. მისი შეფასებით საარჩევნო კამპანია გამოირჩევა განსაკუთრებული აქტიურობით და ე.წ. შავი პიარის მომძლავრებით, რომელიც სიბინძურის ზღვარზეა. ამას კი განაპირობებს შემდეგი ორი პირობა: 1. ბოლო პირდაპირი არჩევნები პრეზიდენტისა; 2. ყოფილი ხელისუფლების, ,,ნაციონალური მოძრაობის" მცდელობა 2020 წლამდე ვადამდელი არჩევნების ჩატარება, რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტად ვაშაძე გავა. რესპოდენტი საუბრობს, ,,ნაციონალური მოძრაობის" სავარაუდო გეგმაზე. გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბში რუსეთის მოქალაქეების გამოჩენა ,,პიარშიკების" სტატუსით არის საშიში მოვლენა საქართველოში" -განმარტავს რცხილაძე. ასევე მას აშინებს და აფიქრებს ის ფაქტიც, რომ ვაშაძის შტაბში არიან ,,რუსეთის მოქალაქეები", მათ შორის ვლადიმირ პუტინის ნათლულის ქსენია სობჩაკის შტაბის წევრები - ვიტალი შკლიაროვი და მაქსიმ კაცი, რომლებიც ღიად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის ,,რეჟიმის დასრულებაზე".

პოლიტოლოგის პროგნოზით არჩევნებზე მოსახელობის დიდი აქტიურობა არ იქნება და ხმის მისაცემად დაახლოებით 60 პროცენტი მივა. მისი აზრით, სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს პირველში თუ არა მეორე ტურში მაინც - რა თქმა უნდა, თუკი მანამდე არ მისცეს საშუალება ,,ნაციონალებს", რომ არიონ სიტუაცია და ჩაშალონ არჩევნები. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილი იმიტომ გაიმარჯვებს, რომ იგი არის ერთადერთი ქარიზმატული პოლიტიკოსი საპრეზიდენტო პოსტზე კანდიდატ პოლიტიკსებს შორის და მისი ზოგჯერ პირდაპირი საუბარი, პოლემიკა განსაზღვრავს მის ქარიზმატულობას. (,,საქართველოს რესპუბლიკა," არჩევანი-არადანი, 2018 წ., 3 ოქტომბერი)

რუსული გამოცემის, ,,Независимая газэта –Религия „- ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც ,,საქართველოს რესპუბლიკა" გვთავაზობს, განხილულია საქართველოში მიმდინარე საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, მასში ქართული მართმადიდებელი ეკლესიის როლი. ყურადღება გამახვილებულია, სამღვდელეობის ცალკეულ წარმომადგენლების დამოკიდებულებაზე

პრეზიდენტობის კანდიდატების მიმართ. საინფორმაციო სააგენტო ,,ნიუსპრესი“ გვთავაზობს **არტურ პრიმაკის** ავტორობით გამოქვყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

პუბლიკაციაში საუბარია პრეზიდნტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილისა და ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრე ცაავს შორის მომხდარ კონფლიქტზე. როგორც ცნობილია მიტროპოლიტმა ეჭვი შეიტანა სალომე ზურაბიშვილის პატრიოტობაში და იგი არასასიამოვნო ეპითეტებით შეამკო, ფაქტობრივად- დასცინა. თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენლები კონკორდატის პრინციპებს არღვევენო. ,,მიტროპოლიტის ეს საქციელი კი, იმას ნიშნავს, რომ პეტრე ცაავა ფაქტობრივად პრეზიდენტობის კანდიდატის - ,,ნაციონალთა“ წარმომადგენლის გრიგოლ ვაშაძის სასარგებლოდ მუშაობს.“- წერს გაზეთი ,,საქათრველოს რესპუბლიკა“

,,კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რელიგიის მსახურებს პოლიტიკური განცხადებებით გამოსვლა აუკრძალა, მაგრამ ცნობილია- როცა ერთი იწყებს, მას სხვებიც აჰყვებიან. შექმნილი სიტუაცია განპირობებულია საქართველოს ეკლესიის წარსულით, როცა ის მხარს უჭერდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს: სამღვდელოება მიჩვეული იყო საბჭოთა პარადიგმებით ცხოვრებას და დღეს, როცა ეკლესია სახელმწიფოსგან ჩამოშორებულია, მათ თავისუფალი მოქმედება უჭირთ“ - ნათქვამია ,,**Независимая газэта“** -ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,იამაყე, საქართველოვ“, 2018 წ., 5 ოქტომბრი)

,,საქართველოს რესპუბლიკის“ ამ ნომერში საუბარია წინასაარჩევნო კამპანიაზე. ავტორი უკმაყოფილებას გამოხატავს და სამარცხვინოდ მიიჩნევს ,,თბილისობის“ დღესასწაულზე, პრეზიდენტობის კანდიდატების პლაკეტებით აჭრებულ და დამახინჯებულ ქალაქის იერსახეს. ,,საითაც გაიხედავთ თუ გამოიხედავთ, მხოლოდ ვაშაძისა და ბაქრაძის მავედრებელ თვალებს წააწყდებით, ,,მე ამომირჩიეთ, მეო“- წერს ავტორი პუბლიკაციაში. მისი თქმით, დღეს მთელ საქართვლოში ვერ ნახავთ ხეს, ელექტრობოძს, სვეტს, კედელს, ნაგვის ურნას, სადაც ,,ულვაშებიან“ ვაშაძისა და

,,უულვაშო“ ბაქრაძის პორტრეტი რომ არ იყოს გაკრული. თითოეული წინადადების წაკითხვისას, აშკარად იგრძნობა ავტორის ანტიპათია ,,ნაციონალური მოძრაობის“ და ,,ევროპული საქართველოს“ ლიდერების მიმართ. იგი სტატიაში თბილისის მერს კახი კალაძეს მიმართავს თხოვნით, რომ ქალაქი უნდა გაიწმინდოს ამ ,,ეშმაკთან წილნაყარი“ კანდიდატებად დარჩენილი ვაშაძისა და ბაქრაძის მავედრებელთვალებიანი პორტრეტებისაგან, თუმცა დარჩეს ნაგვის ურნებზე - მრავლისმთქმელ სიმბოლოდ.

,,მოკლედ, თუ ნაგავი ხარ, ბრილიანტად ვერ გადაიქცევი და გულუბრყვილო ამომრჩევლის გასაცუცურაკებელი აშკარად ცრუ და ალალად გადაზედმეტებული დაპირებებით! და ბოლოს, ნაგავო, შენი ადგილი ერთხელ და სამუდამოდ იცოდე“. - წერს ავტორი სტატიაში. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ წიკლაური“, 2018 წ., 6 ოქტომბერი)

ამასთანავე ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ საუბარია, იმაზე თუ რა გავლენა აქვს ტელევიზიას ხალხის აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მისი თქმით, საქართველოს ტელევიზიამ აუხილა თვალი და ამოადგემევინა ენა ქართველ ტელეწამყვანებს, თავიანთ ნიჭიერებას და შეუმცდარობაში უსაზღვროდ დარწმუნებულ ქალბატონებსა და ბატონებს, რომლებიც ,,საძაგლად“ ურევენ ერთმანეთში კარგსა და ცუდს, რომ ძნელად გაირჩევა, სად რომელია.

ავტორი ძირითადად განიხილავს ჟურნალისტ ინგა გრიოგოლიას მეთოდს, რომელსაც იგი გადაცემის დროს იყენებს. ინგას ახირებაა ერთი და იგივე კითხვა ან ფრაზა ნიშნის მოგების მიზნის ათჯერ დაუსვას სტუდიის სტუმარს. ავტორის აზრით, ,,მზაკვრული“ კითხვის ხუთჯერ გამეორება, არის ტელემაყურებელზე ზეწოლა, რათა ტვინში ჩაებეჭდოს ესა თუ ის ,,მზაკვრული“ აზრი. მაგალითისვის ავტორს მოჰყავს, იმ პერიოდისთვის აქტუალურ თემაზე გაკეთებული განცხადებები, რომელიც ეხებოდა საპრეზიდენტო არჩევნებს. მას ამოჩემებული ჰქონდა ერთადერთი ფრაზა -,,**სალომე ზურაბიშვილს მხარდამჭერები არ ჰყავს.“**

და ბოლოს ავტორი აჯამებს დასმულ პრობლემას - **,,ჩვენი საზოგადოება, ისედაც დანაწილებული და დაბზარული, არჩევნების დროს ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. რის ან ვის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, გადამწყვეტი მნ იშვნელობა არ აქვს. მთავარია, ერთმანეთს რქებით დაეჯახონ, მთავარია, ერთი პირი არ ჰქონდეთ! და ამ დაპირისპირებას ნავთს ასხამენ ტელევიზიები, რომლებიც ტყავიდან ძვრებიან, რათა ამ რქადაღერილთა შორის ნაპრალი სულ უფრო გაღრმავდეს და გაფართოვდეს, სულაც უფსკრულად იქცეს. 28 ოქტომბერს დიდი მკა აქვს ჩვენს ელექტრონულ მედიას, ახლა უნდა მოინაგრონ (sic) მთელს წინასაარჩევნო პერიოდში გაწეული შრომის შედეგი. გაძლება არ გინდა"?!** (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,ალეკო ასლანიშვილი", 2018 წ., 6 ოქტომბერი)

,,გრიგოლ ვაშაძე ლევან ბერძენიშვილს გაერთიანებას სთავაზობს" - გაერთიანებული ოპოზიციის ,, ძალა ერთობაშია" საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე ,,რესპუბლიკელ" ლევან ბერძენიშვილს გაერთიანებას სთავაზობს, რომელსაც მას ფეისბუქ პოსტით მიმართა: ,, **ბატონო ლევან,**

დატვირთული საარჩევნო კამპანიის და რეგიონეში შეხვედრების გამო, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე დღემდე პასუხის გაცემა. მინდა გითხრათ, რომ მე ყოვეთვის გთვლით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტად.

დადგა დრო გაერთიანებისა, რათა ხელისუფლებაში მოვიდეს ეროვნული კოალიციური მთავრობა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დაამკვიდრებს პოლიტიკურ კონკურენციას დემოკრატიულ წესებს და უზრუნველყოფს ჩვენი სახელმწიფოს წარმატებას და ღისრეულ მომვალს" , - წერს ვაშაძე. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,უნიკომი", 2018 წ., 6 ოქტომბერი)

,,ირაკლი კობახიძე: ნიკა გვარამია ხელმოცარული და უნიათო ფაშისტია"- პარლამენიტის თავჯდომარე ირაკლი კობახიძე ფეისბუქ პოსტით გამოეხმაურა ნიკა გვარამიას განცხადებას, რომლის შინაარსიც იყო შემდეგი: **,,ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებს ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, უკიდურესად უნდა**

შევავიწროვოთ. ყველა ეს ადამიანი უნდა დავიმახსოვროთ და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკა. ქვეყნის მოღალატე და მისი მოკავშირეები საჩვენებლად უნდა დაისაჯონ!" ირაკლი კობახიძე ნიკა გვარამიას ამ განცხადებას ხელმოცარულს, ,,უნიათო ფაშისტურს" უწოდებს. მისი აზრით, ნიკა გვარამიას ეს განცხადება უკვშირდება კანდიდატების არსებულ რეიტინგს, რომელთა მიხედვითაც სალომე ზურაბიშვილი დამაჯერებლად იგებს არჩევნებს. კობახიძე ასევე ყურადღებას ამახვილებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც პოლიტიკურად ანგაჟირებულნი არინ, რადგან გვარამიას ამ ,,ფაშისტურ" განცხადებაზე არანაირი რეარიგერება არ მოახდინეს, პირიქით ამ მოსაზრებას მხარიც კი აუბეს. ის მოუწოდებს საზოგადოებას, რომ 28 ოქტომბერს ყველამ ერთად უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი და სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი, რათა სკადრისი პასუხი გაეცეს ,, ნაციონალური მოძრაობის" ისტერიულ და ,,უნიათო ფაშიზმს". (,,საქართველოს რესპუბლიკა", პირველი გვერდი, 2018 წ., 9 ოქტომბერი)

,,36 წელი არ ვიყავი ნამყოფი საქართველოში, მაგრამ... შევინარჩუნე ქართული ენა!" - პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი წინა საარჩევნო კამპანიის დროს მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა. მისი თქმით, სახელმწიფო ენის ცოდნა ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია განურჩევლად წარმოშობისა თუ, სხვა ეროვნებისა. ზურაბიშვილი ასევე მის საუბარში ხაზს უსვამს, მის წარმოშობას და ამბობს, რომ მიუხედავად იმის, რომ ის დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში და 36 წელი არ იმყოფებოდა საქართველოში, მან შეძლო და შეინარჩუნა ქართული ენა. **,, მე, ვიქნები ის პრეზიდენტი, რომელიც სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხს დაიცავს და მიხედავს. სწორედ ეს არის ბალანსი, თანასწორობა და ტოლერანტობა, რომელიც ამ ქვეყნისთვის არის მთავარი ძალა."-** განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 11 ოქტომბერი)

,, ხათუნა ლაგაზიძე: ზურაბიშვილის პრეზიდენტად გაყვანა ,,ქართულ ოცნებას“ შეიძლება, ხელისუფლების დაკარგვად დაუჯდეს!“ - ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე, მიიჩნევს რომ, ,,ქართული ოცნების“ კლებადი რეიტინგი 2 წელს ვერ გაქაჩავს. ამიტომ, ლაგაზიძე ფიქრობს, რომ ივნიშვილი პროცესებს დაასწრებს და ამით დროს მოიგებს. მისი თქმით, წინა საარჩევნო დაპირისპირება პიკს აღწევს და ეს ყველაფერი საზოგადოების ნერვების ხარჯზე ხდება. ის, ამ ვითარებაში ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან გარანტს, დავით უსუფაშვილის არჩევას მიიჩნევს.

ლაგაზიძის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილსა და საქართველოს მოსახლეობას შორის არის გაუცხოება, რომელიც გამოიწვია მისმა განცხადებებმა, მაგალითად - ,,პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხთან, თუმცა უნდა იდგეს მათ მაღლა“. სწორედ ამ ,,ზემოდან ყურების“ გამო, იგი დარწმუნებულია, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებს, თუმცა ეს ჯერ არავინ იცის - აცხადებს ლაგაზიძე. ის ასევე წინასწარ ასკვნის, რომ ამ პოლიტიკური ფონიდან გამომდინარე და ,,ქართული ოცნების“ რეიტინგის დავარდნამ, შიეძლება ვერ მიაღწიოს 2020 წლის საპარლამენტო არჩენებამდე და 2019 წელს დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, თამთა ქარჩავა, 2018 წ., 11 ოქტომბერი)

ამ მასალაში საუბარია ეთნიკური უმცერესობების როლზე, არჩევნების პერიოდში. ავტორის თქმით, მხოლოდ წინა საარჩევნოდ ახსენდებათ ეს ადამიანები და მათ ძალიან ბევრ რამეს ჰპირდებიან - მაგალითად, აი, ,,უფასო ფული“. არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიის ლიდერებს ხშირად, ახსენდებათ ეთნიკურად უმცირესობაში მყოფი საზოგადოება და ყველაფერს აკეთებენ, რომ მათი გულები მოიგონ. ავტორს სტატისტიკური მონაცემებიც მოჰყავს: ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში სულ 3 459 031 ამომრჩეველია, აქედან ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა რიცხვი 290 618 შეადგენს, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 9%-ს.

თუმცა, ავტორის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვირვებით 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხმების მოსაკრებად დიდად არ იწუხებენ თავს საპრეზიდენტო კანდიდატები. მათი თქმით, ეთნიკური ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რას სთავაზობენ მათ პრეზიდენტობის კანდიდატები არჩევის შემთხვევაში, რადგანაც რეგიონებში არ იმართება შედეგზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრები და პოლიტიკური პროცესების მართვა ისევ ,,კლანების დონეზე მიმდინარეობს."

როგორ აპირებენ ეთნიკური უმცირესობების გულის მოგებას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატები? ამკითხვაზე პასუხის გასაცემად, რადიო ,,თავისუფლებამ" მოიძია და შემოგვთავაზა არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატის საარჩევნო პროგრამების შემოკლებული ვერსია.

დავით უსუფაშვილი, უპარტიო საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელსაც მხარს უჭერენ ,,შენების მოძრაობა", ,,ეროვნული ფორუმი" და ,,თავისუფალი დემოკრატები" – ,,ჩემთვის, როგორც მოქალაქისა და პოლიტიკოსისათვის, მთავარი ღირებულებები არის ადამიანი, მისი თავისუფლება და უფლებები. ამასთანავე, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება სჭირდება ადამიანთა იმ ჯგუფებს, ვისაც დამატებითი დაბრკოლებების გადალახვა უწევთ საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის. ეროვნულ, რელიგიურ და სხვა უმცირესობებს სწორედ ასეთი, თითქმის გარდაუვალი, დაბრკოლებები ექმნებათ და სწორედ ამიტომაა მათზე მეტი ზრუნვა აუცილებელი..."

გრიგოლ ვაშაძე, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი: - ,,უსათუოდ უნდა გაძლიერდეს ქართული ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში,რათა გამარტივდეს მათი ინტეგრაციის პროცესი. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს პროგრამა ,,ოთხს პლუს ერთი", რომელიც ბოლო დროს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად ითვლება. ამ პროგრამით ათასობით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს მიეცა საშუალება, უმაღლესი განათლება მიეღო..."

შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი -,,ყველა რელიგიური, ეროვნული და სექსუალური უმცირესობა თანასწორია კანონის წინაშე და მათი უფლებები ისევე იქნება დაცული, როგორც უმრავლესობის".

სალომე ზურაბიშვილი, ,,ქართული ოცნების" მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი- ,,საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს ელემენტალური ქართული და საქართველოს ისტორია. ქვეყანამ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ინტეგრაცია და სახელმწიფო ენის შესწავლა უნდა უზრუნველყოს." (,,საქართველოს რესპუბლიკა", ნინო თარხნიშვილი, 2018 წელი, 12 ოქტომბერი)

,,პოლიტიკა არაფერ შუაშია, ზურაბიშვილმა ყველა ძირითადი პარამეტრი დააკმაყოფილა, რაც გააჩნია ბანკს ნებისმიერ მსესხებელთან მიმართებაში,, - ასე გამოეხმაურა ,,ქართუ ბანკის" კომერციული დირექტორი ზურაბ გოგუა ხელისუფლების მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის მილიონი ლარის სესხის გაცემას.

ეს მასალა გვაუწყებს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დეკლარაციის მიხედვით, სალომე ზურაბიშვილმა ბანკ ,,ქართუდან" მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი აიღო. ,,საარჩევნო კოდექსის" მიხედვით, კანდიდატს, რომელიც არჩევნებში ხმათა 10%-ზე მეტს დააგროვებს, კამპანიაზე გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარის მოთხოვნის უფლება აქვს. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,პრეზიდენტობა ყველას უნდა", 2018 წ., 12 ოქტომბერი)

,,მე მხარს ვუჭერ ზურაბიშვილს" - ,,პოლიტიკა ჩემგან ძალიან შორს არის, შორს იყო ყოველთვის და არის ახლაც, მაგრამ, პირველ რიგში მე ვარ ქართველი, ისევე როგორც თქვენ. არაფერი იმაზე ძვირფასი, მთავარი ფასეულობა არ გამაჩნია, ვიდრე ეს არის ჩემი ქართველობა და მე ვარ ამით ამაყი. სწორედ ქართველობის, საქართველოსადმი სიყვარულმა და გამოცდილებამ, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება, გადამაწყვეტინა სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა. დღევანდელი მოცემულობით ის საუკეთესო კანდიდატია. მე მხარს ვუჭერ სალომე

ზურაბიშვილს“, - განაცხადა რეჟისორმა თემურ ბაბლუანმა.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 16 ოქტომბერი)

ამ მასალაში ავტორი საუბრობს იმ ბინძური კამპანიის შესახებ, რასაც ,,ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ტელევიზია ,,ცრუსთავი-2“ ატარებს. ის დიდი გულისტკივილით იხსენებს ,,ნაციონალური მოძარობის“ პერიოდს, როდესაც ისინი ხელისუფლებაში იყვნენ. ხალხმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნბში უარი უთხრა ერთხელ და სამუდამოდ ამ ,,სისხლისმსმელ“ ხელისუფლებას. თუმცა, როგორ ჩანს ძალაუფლების სურვილით დაბრმავებულები, ყველანაირი გზით ცდილობენ თავიანი კანდიდატი ვაშაძე ან ბაქრაძე გააპრეზიდენტონ. ავტორი სტატიის ბოლოს ირონიულად მიმართავს მკითხევლს, - ,, იქ ხელვარდიანი გიულისა და სანდრას უკვე კარგა გვარიანად გაონეფაშისტებული ბიჭი გელოდებათ, რომ ისევ ჩვეული გზით გამოგატაროთ თქვენი მოწონებული ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი! როგორც ჩანს, ჯოჯოხეთს მიჩვევა სცოდნია.” (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ წიკლაური, 2018 წ., 17 ოქტომბერი)

შემდეგ ინფორმაციაში განიხილება გრიგოლ ვაშაძის წარსული, რომ ის იყო რუსეთის მოქალაქე და ამას დიდი ხანი მალავადა. ასევე, ეს ის პიროვნებაა, გაშმაგებით რომ ცდილობდა მოსწავლეთა სასახლის დასაკუთრებას თავის მეუღლესთან ერთად. ავტორის თქმით, ამ წარსულით ძნელად თუ დაიჯირება მისი წინა საარჩევნო დაპირებები, - შეწყალება ,,უდანაშაულო“ მკვლელების, პენსიონერების 400-ლარამდე პენსიის გაზრდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ,,გაუქმება“, **ვაშა - ვაშაძევ!,** ასეთი შეძახილით ასრულებს ავტორი სტატიას. (საქართველოს რესპუბლიკა“, ლონდა მდივანი, 2018 წ. 18 ოქტომბერი)

ვახტანგ დავითაია არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პუბლიკაციაში წერს, რომ მას მოსწონს ევროპაში აღზრდილი ქალბატონი სალომე , მისი ინტელექტი, ზრდილობა, განვილილი გზა, მარადი ქალურობა, პირუთვნელობა და ზოგადად ქალბატონი პრეზიდენტის ფენომენი. ავტორს არ აქვს ნდობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის სამსახურში იყვნენ მონური მორჩილებით. იმ

საყოველთაოდ ცნობილი რეჟიმის დროს, როდესაც ხდებოდა სასტიკი მკვლელობები, გაუპატიურებები, ბიზნეს დაყაჩაღებები, ხელოვნებისა და მეცნიერების მიმართ ჩადენილი დანაშაულები და სხვა და სხვა. მისი თქმით, ქალბატონ სალომეს უწუნებენ ქართულად საუბარს, თუმცა თვითონ საქართველოში დაბადებულები და გაზრდილები, არც ისე გამართულად მეტყველებენ ქართულად. პუბლიკაციის ბოლოს, იგი იმედიანად შეჰყურებს მომავლს და წერს, - ,,**მაქვს ერთი ნატვრა - ის, რაც რეიგანმა კონგრესის წინაშე განაცხადა: - ჩვენ არ ვართ რესპუბლიკელები ან დემოკრატები, ჩვენ ამერიკელები ვართ. მინდა, ვირწმუნო, რომ საქართველოც მალე მიაღწევს პოლიტიკური კულტურის იმ დონეს, როდესაც ვიტყვით -ჩვენ ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ!!!** (,,საქართველოს რესპუბლიკა", ვახტანგ დავითაია, 2018 წ. 18 ოქტომბერი)

არჩევნების მოახლოებასთან ერთად იზრდებოდა ვნებათა ღელვა პარტიებში. სწორედ, ამ თემასთან დაკავშირებით ,,საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა თბილისის მერის კახი კალაძის განცხადება, რომელიც შეეხებოდა იმ აქციას, რომელსაც აანონსებდა ,,ნაციონალური მოძრაობა", 19, 20 და 21 ოქტომბერს. კალაძის განცხადებით, ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არსებობს და თუ აღნიშნული აქციების ფარგლებში, გზის გადაკეტვა იქნება საჭირო, ამას შესაბამისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ. მისივე თქმით, აღნიშნული მანიფესტაცია ,,ნაციონალური მოძრაობის" ბოლოდროინდელ მცდელობას უკავშირდება, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია დაიძაბოს, თუმცა ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობის შესაძლებლობა არავის მიეცემა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,აირევი ივერია"!.., 2018წ. 18 ოქტომბერი)

,,ახლა 2018 კი არა, 1918 წელი რომ იყოს, ამ დღეებში გაზეთები ასეთი მოწოდებებით გამოვიდოდა: ,,მოქალაქენო, სამშობლო საფრთხეშია!", ,,მტერი კარზეა მომდგარი!.." ავტორი სტატიას ,,განგაშის ზარების" შემოკვრით იწყებს და იუწყება, რომ კარზე მომდგარია არეულობა, ბუნტი, ანგარიშსწორება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და ათასი უკუღმართობა, რასაც ხმამაღლა იუწყებოდა ,,ნაციონალური მოძრაობა". ის

იხსენებს, ერთ შემთხევას, რომელიც მას გადახდა ბანკში, პენსიის აღებისას. ავტორს მის თანატოლ პენსიონერებთან ცხარე კამათიც მოუვიდა, რაც წინა საარჩევნო ციებ-ცხელებას უკავშირდებოდა. ყველაზე მეტად, რამაც ავტორი გააღიზიანა იყო ის, რომ პენსიონერები საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემას გრიგოლ ვაშაძისთვის აპირებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მათ პენსიის 400 ლარამდე გაზრდას ჰპირდებოდა. **,,დაუჯერეთ, აირჩიეთ, ჩვენო შეჭირვებულო დეიდებო და ბიძიებო, მაგრამ ნურც 400 ლარი პენსიის იმედი გექნებათ და, მით უფრო, ნურც იმისა, რომ პრეზიდენტის ტახტზე დაბრძანებული გრიგოლ ვაშაძეს გადააყენებთ, სიტყვა რატომ არ შეასრულეო.“** - წერს ირონიულად ავტორი. მისივე თქმით, მიმდინარეობს ამომრჩევლის ტვინის გამორეცხვა, ტვინის ჭყლეტა, ჯიუტად, გამიზნულად, მიზანსწრაფულად და ის გაბრაზებული ამომრჩეველი მივიდა დასკვნამდე, რომ გრიგოლ ვაშაძეს მისცეს ხმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, სანდრო ალექსიძე, 2018წ. 18 ოქტომბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ ღიად ათიქსირებს მის პოზიციას და 19 ოქტომბრის პირველივე გვერდზე, დიდი, შავი და წითელი ასოებით წერს: **,,2018 წლის 28 ოქტომბერი საქართველოს ყველა საღი გონების და ღირსეული მოქალაქის გამოცდაა! ამ არჩევნების შემდეგ ჩვენ ან წინ ვივლით, ანდა ისევ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდებით!**

,,ნაციონალური მოძრაობას რევოლუციური სცენარი ჩაუვარდა. ჩვენი შიდა კვლევებით დასტურდება, რომ სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში იგებს“ - ეს განცხადება პარტიის ცენტრალურ ოფისში მამუკა მდინარაძემ გააკეთა. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ პირველსავე გვერდზე გვატყობინებს სოციოლოგიური კვლევის შედეგს, ეგრეთ წოდებული ლოკაციის გარეშე, გამოკითხულთა საერთო რაოდენობით: სალომე ზურაბიშვილი 27%, გრიგოლ ვაშაძე 10%, დავით ბაქრაძე 9%, სხვა კანდიდატები 6 %, ხოლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ გადაუწყვეტია და ან არ მიდის არჩევნებზე 48%.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, 2018წ. 19 ოქტომბერი)

,,სვანეთი ჩემთვის თავისუფლებას ნიშნავს“ - ასე მიმართა დამოუკიდებლმა საპრეზიდენტო კანდიდტმა, სალომე ზურაბიშვილმა მესტიელ ამომრჩევლებს. ,,საქართველოს რესპუბლიკა“ გვთავაზობს ზურაბიშვილის განცხადებას, რომელიც მან სვანეთში გააკეთა. - **,,რას ნიშნავს სვანეთი ჩემთვის? პირველ რიგში თავისუფლებას. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა სვანმა ბრძანა: არც სხვისი სამართალი და არც უსამართლობა -ეს შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყნის მომავლის ლოზუნგად... სვანეთი არის ჩვენი გამაგრებული საზღვარი. სვანეთი და თქვენ ხართ დამოუკიდებლობის მაგალითი, დამოუკიდებლობა არა რაღაც სხვანაირად გაგებული, არამედ დამოუკიდებლობა როგორც თვითმყოფადობა, მაგრამ ერთ საზღვრებს შორის, არ შეიძლება, რომ პრეზიდენტი იყოს თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად კონფროტაციაში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან“**, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, 2018წ. 19 ოქტომბერი)

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის დავით მათიაშვილის განცხადებით. წინასაარჩევნო ტემპერატურის ხელოვნურად აწევა, საზოგადოების ფსიქიკაზე მოქმედება საგანგებოდ ხდება, რადგან ,,ნაციონალურ მოძრაობას“ სურს , საპრეზიდენტო არჩევნებში ქულების დაწერა, მათი მიზანია დასახული მიზნის მიღწევა არა არჩევნების გზით, არამედ ძალადობით, თუმცა ისინი ვერ მიაღწევენ ამ მიზანს, საქართველოში მათი დრო უკვე დასრულებულია.- განცხადა დავით მათიაშვილმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია!“, 2018წ. 20 ოქტომბერი)

საპრეზიდენტო არჩევნებემადე 8 დღით ადრე, ,,საქართველოს რესპუბლიკა“ აჯამებს და აფასებს წინა საარჩვენო პერიოდს. პუბლიკაციის ავტორი იხსენებს განვლილ 30 წელიწადს, როდესაც ხელისუფლების სათავეში ყოველთვის ,,მახვილით“ მოდიოდნენ. რევოლუცია იყო 1991 წელს ეროვნული ხელისუფლების მომყვანი, რომელსაც წინ 9 აპრილი უძღვოდა. 2003 წელს ე.წ ,,ვარდების“ რევოლუცია და შემდგომ, 2012 წელს მენტალური რევოლუცია. ავტორის თქმით, 2018 წლის 28 ოქტომბერი იყო შანსი, პრეზიდენტი მოსულიყო სათავეში ,,მახვილის“ გარეშე და ასეც მოხდა.

ავტორი შეშფოთებული იყო წინა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობით, რადგან არსად, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ ებრძვიან კონკურენტები ერთმანეთს იმ მეთოდებით, რასაც საქართველოში კანდიდატები ერთმანეთის წიინაღმდეგ იყენებდნენ, ეს იყო - ჩანაწერების გავრცელება, კომპრომატებზე ნადირობა, კანდიდატების შეურაცხოფა და ასე შემდეგ. ავტორის თქმით, საქართველოში, არჩევნები ასოცირდება ბოროტებასთან და ყველა და ყველაფერი კანონის, მორალის მიღმაა. სამწუხაროდ, აღარავინ ფიქრობს ამომრჩეველზე, ხალხზე და ზოგადად პროგრამების გაცნობაზე. ნაცვლად იმისა, რომ ამომრჩეველი ისმენდეს დებატებს, თუ როგორ გამოიყენებს ამ უმაღლეს ტრიბუნას კანდიდატი ან რა პოლიტიკას წარმართავს იგი დასავლეთთან და რუსეთთან, ხალხი ისმენს და მსჯელობს იმაზე, თუ რამდენი თაღლითი ბიზნესმენი არ იხდის 51 მილიონს ბიუჯეტში, როგორი იგეგმებოდა მკვლელობები წარსულში და როგორ იტანჯებიან სოციალურად დაუცველები. ავტორი სავარაუდოდ, იგივე სიტუაციას ელოდება 2020 წლის საპარალამენტო არჩევმების დროს, სადაც ყველა ყველაფერს იკადრებს. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ. 20 ოქტომბერი)

ამ პერიოდში, სალომე ზურაბიშვილზე ისევ ვრცელდებოდა ახალი ჭორები, რომელიც შეეხებოდა ზვიად გამსახურდიასთან მის დამოკიდებულებას. სწორედ, ამ თემასთან დაკავშირებით მან განაცხადა სამეგრელოში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს. - **,,ის ჭორები, თუ რა დამოკიდებულება შეიძლება მქონოდა ზვიად გამსახურდიასადმი, დიდი ტყუილია, რადგან მე არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ დროს არც ერთ ადგილას არ ვყოფილვარ გადატრიალების მომხრე, თუნდაც სააკაშვილის ოპოზიციაში ყოფნის დროს. არ შეიძლება გადატრიალება. ჩვენ არჩევნების გზით უნდა მოვიპოვოთ ხელისუფლება.“** (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,საქართველო გულში“, 2018წ. 20 ოქტომბერი)

არჩევნების დღის მოახლოვებასთან ერთად, ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ისევ მიმართავდა თავის მკითხველს და ასევე ამომრჩევლსაც, რომ 28 ოქტომბერს ნებისმიერი კანდიდატისთვის შეეძლოთ ხმის მიცემა, გარდა ,, ცრუპენტელა“,

,,დეგრადირებული „ გრიგოლ ვაშაძისა. ამ ინფორმაციაში, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო უზნეო და ავადმყოფურ ქცევებზე. ავტორი იმედოვნებდა, 28 ოქტომბერის არჩევნების დასრულებისას, გრიგოლ ვაშაძის წაგების შემდგომ, ვაშაძე დანებდებოდა და ნიკა გვარამიაც ,,ჩაალაგებდა ჩემოდნებს" და წავიდოდა საზღვარგარეთ, რადგან იგი რამდენჯერმე ,, დაემუქრა" ქართულ საზოგადოებას, რომ სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოში, არცერთი წუთით არ გაჩერდებოდა. ავტორი ბოლო იმედს იტოვებს, რომ ამომრჩველი გონიერ გადაწყვეტილებას მიიღებს. (,,საქართველოს რესპუბლიკა", სპარტაკ ქობულია, 2018წ. 23 ოქტომბერი)

,,ქართული ოცნების" თავჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მას პირველასავე ტურში მათი მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების იმედი აქვს, თუმცა არ გამორიცხავს მეორე ტურსაც, - **,, თუ იქნება მეორე ტური, ასეთ შემთხვევაში ,,ნაციონალური მოძრაობის" რომელიმე წევრი მიიღებს მონაწილეობას. ეჭვი არ არის, რომ მეორე ტურში გაიმარჯვებს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი... მივმართავ ასევე ჩვენს მხარდემჭერებს, გვერდზე გადავდოთ ყველაფერი, გავერთიანდეთ, სწრაფად დავამთავროთ არჩევნები და სწრაფად შევუდგეთ აღმშენებლობას",** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,დრო ჩართულია!" 2018წ. 26 ოქტომბერი)

საინტერესოა, ასევე პარლამენტის თავჯდომარის ირაკლი კობახიძის წინა საარჩევნო კამპანიის შეფასება, რომელსაც გვთავაზობს ,,საქართველოს რესპუბლიკა"- **,,28 ოქტომბერს ჩვენ უნდა ავირჩიოთ სიმართლე, ღირსება, სამშობლოს სიყვარული, წინსვლა, ,,ქართული ოცნება", სალომე ზურაბიშვილი. თქვენთან ერთად, ჩვენ აუცილებლად დამაჯერებლად გავიმარჯვებთ... ამ საპრეზიდენტო კამპამნიას ჩვენ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ - სუსტი კაცები ძლიერი ქალის წინააღმდეგ. ჩვენ ამ ორი თვის განმავლობაში გვესმოდა და ვხედავდით სრულიად უღირს კამპანიას, სიყალბეს, აგრესიასა და სიძულვილს ოპონენტების მხრიდან. მხოლოდ ძლიერ ქალბატონს, როგორიც არის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, შეეძლო, ასეთი**

ღირსებით და მოთმინებით ეპასუხა მისი ოპონენტების მორალური სისუსტისათვის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია!“ 2018 წ. 26 ოქტომბერი)

სპორტის სასახლეში გამართულ პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის შემაჯამებელ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მისმა შვილმა თეიმურაზ გორჯესტანმა განაცხადა,- **,, ქეთევანი და მე ჩამოვედით პარზიდან და ლონდონიდან ამ კვირას, რადგან ეს არის ჩვენთვის განსაკუთრებული მომენტი. კანდიდატი, რომელსაც მიმართავთ ქალბატონი სალომეთი , რომელიც კვირას, ალბათ, იქნება ქალბატონი პრეზიდენტი, ჩვენთვის დარჩება უბრალოდ დედად. ეს მიმართვა ,,დედა“ არის ჩვენთვის სიმბოლო, რადგან ეს სიტყვა ჩვენთვის პირველი ინსტიქტის კავშირია ამ შორეულ საქართველოსთან“...** (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია!“ 2018 წ. 26 ოქტომბერი)

საინტერესოა, რას აქვეყნებდა ,,საქართველოს რესპუბლიკა“ არჩევნების წინა დღეს, 27 ოქტომბერს. პირველივე გვერდზე გაზეთის რედაქცია მიმართავს მკითხველს,- **,,საბედისწეროდ ნუღარ შევეცდებით! ფრთხილად, კანდიდატთაგან არაერთხელ მოტყუებულო ამომრჩეველო! იცოდე, რომ მავნე ქოსატყუილების ვაშაძის და ბაქრაძის სახელმწიფოს მეთურად არჩევით შენ ისევ ბოროტმოქმედ სააკაშვილს ირჩევ თავის მავნებელ ხროვასთან ერთად, რომელთა ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი ერთხელ უკვე მწარედ იწვნიე!“**

,,საქართველოს რესპუბლიკელები“ მიმართავენ ასევე სამტრედიელებს, რადგან ისინი ,,საოქტომბრო გამოცდებში“ არასოდეს ჩაჭრილან!... ავტორს დიდი იმედი ჰქონდა, რომ არც ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაიჭრებოდნენ. მან დაასახელა მისთვის სასურველი კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. ის ზურაბიშვილს მიიჩნევს მაღალკვალიფიციურ და მრავალნაცად დიპლომატად. ასევე, იგი აღნიშნავს, რომ ზურაბიშვილი, თავის გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიო დონის და რანგის ნებისმიერ პოლიტიკოსთან და დიპლომატ მინისტრებთან სასაუბროდ ან საპაექროდ, ყველა დიპლომატიური წეს- ეტიკეტის დაცვით წარმართავს

საუბარს. ის ასევე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სალომე ზურაბიშვილი არის დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი, რაც სამტრედიელებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამეთუ ნიკოლაძე მუდამ იყო, არის და დარჩება გაერთიანებული საქართველოსათვის სასიქადულო და თავმოსაწონებელ დიდ მამულიშვილად და სამტრედიელების თანამემამულედ. ამიტომაც, ავტორი მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ ხმა მისცენ სალომე ზურაბიშვილს.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ისიდორე (მამული) ჯანელიძე, 2018 წ. 27 ოქტომბერი)

ამავე დღის ნომერში ,,საქართველოს რესპუბლიკა" მკითხველს სთავაზობს ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" წინა საარჩევნო ანგარიშის შედეგებს, კანდიდატების შემოწირულობასთან დაკავშირებით, სადაც ,,სქართველოს რესპუბლიკის" თქმით, ,,აქაც ზურაბიშვილი ლიდერობს" - **,,მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებს, მის მიერ მიღებული შემოსავლები მაინც დაახლოებით სამჯერ აღემატებოდა გრიგოლ ვაშაძისა და ერთნახევარჯერ - ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ შემოსავლებს"** ,- ნამთქვამია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს „ ანგარიშში და აღნიშნულია, რომ საბანკო სესხით მხოლოდ ზურაბიშვილმა ისარგებლა. მან 1 ოქტომბერს ,, ბანკი ქართისგან" 1 მლნ ლარი ისესხა.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მარათონი" 2018 წ. 27 ოქტომბერი)

გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა" წინასაარჩევნო პერიოდში მკითხველს სთავაზობდა ანალიტიკურ პუბლიკციებს. პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ჭარბობდა ნეიტრალური ტონი, თუმცა, აშკარად გამოიკვეთებოდა დადებითი მუხტი მმართველი გუნდის ,,ქართული ოცნების" მიმართ და უაროფითი ყოფილი ხელისუფლების ,,ნაციონალური მოძრაობის" მიმართ.

1.2. გაზეთი „რეზონანსი“

სანიტერესოა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორ აშუქებდა და რა ადგილი ეკევა ამ თემას ყოველდღიურ გაზეთში ,,რეზონანსი“. საარჩევნო თემებზე რა სტატიების ბეჭდვა იწყება ივნისიდან. 11 ივნისის ნომერში მოცემულია განცხადება, რომელიც გვაუწყებს, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილმა ჯგუფმა, პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, - პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების მეორე ტურში გასვლის შემთხვევაში საკუთარი კანდიდატურის მოხსნა არ შეეძლება. ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები გაიმართება, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატი კანდიდატურას მოხსნის, ან თუ არჩვევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 11 ივნისი)

მმართველი გუნდის პრეზიდენტობის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით ,,რეზონანსი“ აქვეყნებს მეცნიერ-ექსპერტთა საბჭოს თავჯდომარის გრიგოლ კვესელავას განცხადებას. მისი თქმით, ,,ქართული ოცნების“ გარკვეულ წრეებში არის მოსაზრება, რომ პრზიდენტობის კანდიდტად დასახელებულიყო, იურისტი ლადო ჭანტურია, რასაც სამეცნიერო წრეებშიც ეთანხმებოდნენ. ბატონი გრიგოლის აზრით, ლადო ჭანტურიას კანდიდატად საზოგადოებისთვის იქნებოდა მისაღები, რადგანაც ის არის შეუბღალავი წარსულის მქონე, ნიჭიერი, ნამდვილი პროფესიონალი და ევროპაშიც ცნობილი პიროვნება. ამიტომაც, ლადო ჭანტურიას კანდიდატურა მისაღები იქნებოდა როგოროც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისა და საზოგადოების იმ ნაწილისთვისაც, ვინც არჩევნებში ხმას არ მისცემდა არც ერთ კანდიდატს, ასეთი კი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილია- აღნიშნავდა გრიგოლ კვესელავამ. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 25 ივნისი)

ანალიტიკოსი და ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი ,,რეზონანსთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ბედი მთავრობის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. მისი აზრით, ,,ოცნებამ“ გარისკა,

როდესაც გადაწყვიტა, რომ არჩევნებამდე ახალი მინისტრთა კაბინეტი დაენიშნა, რითაც ქვეყანაში არსებული პრობლემების ,,ცოტათი“ მოგვარება შეძლო. შესაძლოა ეს ყველაფერი საპრეზიდენტო არჩევნებზე ცუდად მოუბრუნდეთო. (,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018წ., 28 ივნისი)

,,რეზონანსი“ ეხმაურება ,,რუსთავი-2“-ის ეთერში მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელიც შეეხება საპრეზიდენტო არჩვნებს და ოპოზიციების გაერთიანებას მმართველი გუნდის წინააღმდეგ. ,,რეზონანსი“ გვთავაზობს ,,ლეიბორისტული პარტიის“ წევრთან, გიორგი გუგავასთან ჩაწერილ ინტერვიუს. გუგავას თქმით, ოპოზიციური ძალების გაერთიანება უაცილებელია, რადგან საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ,,ოლიგარქიულ- საბანკო“ რეჟიმი. მისი აზრით, ,,ქართულ ოცნებას“ არ ჰყავდა ღირსეული საპრეზიდენტო კანდიდატი, ამიტომაც არ ჩქარობნდენ ისინი კანდიდატის დასახელებას. (,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 9 ივლისი)

როგორც ჩანს ,,რეზონანსი“ ცდილობდა ხშირად ჩაეწერა ინტერვიუები პოლიტოლოგებთან, რათა საზოგადეობას უკეთ გაეთვითცნობიერებინა, თუ რა პოლიტიკური ფონი იქმნებოდა საპრეზიდენტო არჩვენების წინ და მან მორიგი ინტერვიუ ჩაწერა პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან. მისი თქმით, ოპოზიციის გაერთიანებას და ერთი კონკრეტული კანდიდატის დასახელებას, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ,,ქართული ოცნების“ რეიტინგს მაინც ვერ გადაფარავდნენ. მისი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი უპარტიო კანიდადტს ჰქონდა, რადგან ანალოგიური მოხდა თვითმართველობის არჩვნების დროს. მოსახლეობამ სიმპათია სწორედ უპარტიო კანდიდატის მიმართ გამოხატა. მმართველი გუნდის მხრიდან საპრეზიდენტო კანდიდატურის დასახელების დაგვიანებას იგი მიიჩნევდა ერთ-ერთ სტრატეგიად, რომელსაც ახორციელებდა ,,ქართული ოცნება“, რადგან ოპოზიციას წინასაარჩვენოდ მოსამზადებელი დრო შეზღუდვოდა. (,,რეზონანსი“, ია აბულშვილი, 2018წ., 11 ივლისი)

ისევ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აგრძელებდა მსჯელობას გაზეთ ,,რეზონანსთან“, ოპოციზიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოპოზიციის გაერთიანებას აზრი არა ჰქონდა, რადგან ისინი მაინც ვერ მოახერხებდნენ საკმარისი ხმის მოგროვებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცდილობდნენ ერთმანეთის ნაკლები კრიტიკით, ამომრჩევლის გული მოეგოთ. მისი აზრით, ,,ქართული ოცნება“ თუ არ აირჩევდა ძლიერ არაპარტიულ კანდიდატს არჩვნების მოგება გაუჭირდებოდა. (,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია, 2018 წ., 12 ივლისი)

,,რეზონანსი“ გვატყობინებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი თვით ადრე ერთმანეთზე გადამტერებული ,,ნაციონალური მოძრაობა“ და ,,ევროპული საქართველო“ დაზავდნენ და მოიალაპარაკეს, რომ ყველა პარტიას საკუთარი კანდიდატი ეყოლებოდა. 10 ივლისს, ბრიუსელში, ,,ევროპის სახალხო პარტიის“ ინიციატივით ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ,,ევროპულმა საქართველომ“ სამპუნქტიან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც ერთამნეთს შეურაცხყოფას აღარ მიაყანებდნენ და მთელ ფსონს მეორე ტურზე დადებდნენ- მხოლოდ მეორე ტურის შემთხვევაში გაერთიანდებოდნენ და ერთმანეთის კანდიდატურას დაუჭერდნენ მხარს. ამ ორ პარტიას შორის გაფორმებულ შეთანხმებას კომენტარები მოჰყვა არასაპარლამენტო ოპოზიციაშიც. მეორე ტურის შემთხვევაში ოპოზიციური კანდიდატის მხარდაჭერას აპირებდნენ ,,თავისუფალი დემოკრატებიც“ მიუხედავად იმისა, რომ მათ მემორანდუმში მონაწიელობა არ მიუღიათ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ,,შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა (ყოფილ) პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს ღია წერილით მიმართა და საპრეზიდენტო არჩვნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა. მარგველაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ნატოს-ს სამიტის დსრულების შემდგომ ისაუბრებდა ამ თემაზე. როგორც აღმოჩნდა, მარგველაშვილმა არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობაზე თქვა უარი, არამედ მან ქართული პოლიტიკაც დატოვა. (,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია, 2018 წ., 12 ივლისი)

,,რეზონანსი“ მკითხველს სთავაზობს ინტერნეტ სააგნეტოს - ,,ინტერპრესნიუსის“ მიერ გამოქვეყნებულ, სალომე ზურაბიშვილის განცხადებას. ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანიდადატად მონაწილეობის გადაწყვეტილება უკვე მიიღო, თუმცა ის ამ გადაწყვეტილეაბას უარყოფდა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის უცილებლად ჩაატარებდა ბრიფინგს და საზოგადოებას, მისი გადაწყვეტილებების შესახებ აუცილებლად გააცნობდა. (,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 14 ივლისი)

საპრეზიდენტო არჩევნები სტარტს იღებდა ივლისის შუა რიცხვებიდან, თუმცა დიდი სამზადისი ნამდვილად არ ჩანდა პოლიტიკურ პარტიებში. მხოლოდ, ,,ევროპული საქართველოს“ და ,,ნაციონალური მოძრაობის“ შეთანხმების დადება და დანარჩენი ოპოზიციური პარტიების პრეზიდენტობის კანდიდატების შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა, თუმცა ,,ქართული ოცნება“ არ ჩქარობდა კანდიდატის დასახელებას, მხოლოდ კულვარებიდან გახდა ცნობილი, სალომე ზურაბიშვილის შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, იგი ამ გდაწყვეტილებას თავიდან უარყოფდა. პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს თქმით, ,,ოცნებას“ შეუძლია არ ინერვიულოს, რადგან მისი მხარდაჭერილი ნებისმიერი კანდიდატი გაიმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზურაბიშვილის მიმართ ანტიპათიით არის განწყობილი, თავს იმით იმშვიდებს, რომ პრეზიდენტი თავიდან ბოლომდე ,,დეკორაციული ფიგურა“ გახდება.(,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018 წ., 14 ივლისი)

,,ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს ზაფხულის ბოლოს დაასახელებს. ამის შესახებ რეგიონალური განვითრებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა, მაია ცქიტიშვილმა განაცხადა. (,,რეზონანსი, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 14 ივლისი)

სამოქალაქო მოძრაობა - ,,ძალა ერთობაშია“ ათი ოპოზიციური პარტიის გაერთიანების შედეგად შეიქმნა. მან საერთო საპრეზიდენტო კანდიდატად ,,ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი გრიგოლ ვაშაძე დაასახელა. ახალ საპრეზიდენტო კანიდადტს ისინი 19 ივლისს ოფიციალურად წარადგენენ, -

გვატყობინებს ,,რეზონანსი“. ასევე, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი ,,რეზონანსთან“ ინტერვიუში ამომბს, რომ ,,ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატს დავით ბაქრაძეს აქვს რეალური შანსი გამარჯვებისა, რადგან მან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. ხოლო, რაც შეეხება მმართველ გუნდს, ისინი, უდავოდ, სალომე ზურაბიშვილს დაუჭერენ მხარსო. (,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი“, 2018წ., 18 ივლისი)

,,რუსეთის აგენტი რომ ვიყო, ბატონებო და ქალბატონებო, მე თქვენ სალომე ზურაბიშვილი ხომ არ გგონივართ? ისე დაგინგრევდით საგარეო პოლიტიკას, რომ დღემდე აფხაზეთისა და ცხინვალის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსზე საუბარი კი არა, ამ რეგიონების ხსენებაც კი აგეკრძალებოდათ“, - განცხადა გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ გადაცემა- ,,არჩევანში“, რომელიც ,,რეზონანსმა“ შემოგვთავაზა ერთ-ერთ ნომერში, (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 19 ივლისი)

საპრეზიდენტო არჩევნები ოქტმობერში უნდა ჩატარებულიყო. მიუხედავად ამისა, ,,ქართული ოცნება“ საერთოდ არ ჩქარობდა პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამეტის თავჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება გვაცნობა ,,რეზონანსმა“. ,,**კონსულტაციები გვექნება როგორც პოლიტსაბჭოს ფორმატში ასევე - უმრავლესობის ფორმატში. სავარაუდოდ, ეს იქნება ივლისის ბოლო კვირას. იქ უკვე, გაცხადდება ჩვენი პოზიცია საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით“.** საზოგადოებაში პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელებასთან დაკავშირებით მითქმა- მოთქმა არ წყდებოდა. ვრცელდებოდა ჭორები, რომ ,,ქართული ოცნება“ დასახელებდა საპრეზიდენტო კანდიდატად, სალომე ზურაბიშვილს ან დავით სერგეენკოს, ან თვით ბიძინა ივანიშვილს.(,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018წ., 20 ივლისი)

,,ივანიშვილს პრეზიდენტობა არ სურს“ - ამ სათაურით აქვეყნებს გაზეთი ,,რეზონანსი“ სტატიას, რომელიც გვაუწყებს, რომ ბიძინა ივანიშვილის უარი საპრეზიდენტო არჩევნბში მონაწილეობის მიღებაზე, სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც მან კარგად

იცის, რომ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი უფუნქციოა და ეს ,,დეკორაციული თანამდებობა“ მას არ აწყობს. ამ საკითხზე ,,რეზონანსთან“ იმსჯელა პოლიტოლოგმა არჩილ გამზარდიამ. მისი თქმით, ადამიანს (ბიძინა ივანიშვილს), რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც უნდა: ფინანსები, პოლიტიკური პარტიის დამფუძნებლის სტატუსი და ამჯერად მოქმედი თვჯდომარე, თვითრეალიზაციის კუთხით, ამიტომ პრეზიდენტად ყოფნა და შეკვეცილი უფლებებით მოქმდება მისთვის მიუღებელია. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 24 ივლისი)

ამ პერიოდში, საზოგადოების მაღალი ინტერესი იყო ის, რომ ეყოლებოდა თუ არა ,,ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო კანდიდატი საკუთარი გუნდიდან, თუ სხვა დამოუკიდებელ ან ოპოზიციურ კანდიდტს დაუჭერდნენ მხარს. სწორედ, ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთი ,,რეზონანსი“ აქვეყნებს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას. ივანიშვილის თქმით, მას მისი გუნდიდან კანდიდატის დასახელების პრობლემა არ აქვს, რადგან მის გუნდში მოიძებნებიან ღირესული კანდიდატები, როგორებიც არიან: სოზარ სუბარი, ზურაბ აბაშიზე, დავით სერგეენკო, თეა წულუკიანი ან შესაძლოა თავადაც, თუმცა ის თვლის, რომ დემოკრატიული განვითარებისთვის უკეთესი იქნებოდა დამოუკიდბელმა კანდიდატმა იყაროს კენჭი, რადგან ამ მოსაზრებას გუნდში ჰყავდა, როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგები, ამიტომ ჯერ არაფერი ზუსტებოდა. ივანიშვილის ამ გაცხადებას გამოეხმაურნენ როგორც, მისი გუნდის წევრები, ასევე, ოპოზიციური გუნდის წარმომადგენლები. ,,ოცნების“ უმრვლესობა დადებითად აფასებდა ივანიშვილის ამ გადაწყვეტილებას, ხოლო ოპოზიცია აკრიტიკებდა მათ და ამომბობდნენ, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მმართველი გუნდი თავისი პარტიიდან დაასახელებდა კანიდატურას, თუ სხვა პარტიიდან, რადგანაც ზურგს მაინც ,,ქართული ოცნება“ გაუმაგრებდა დასახელებულ კანდიდატს (,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია,2018წ., 26 ივლისი)

,,იდეა, რომ ,,ოცნება“ არ დაასახელბეს და მხარს დაუჭერს დამოუკიდბელ კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებში უფრო პიარია და არანაირი კავშირი აქვს დემოკარტიასთან“ - ასე აფასებს პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირიძე ბიძინა

ივანიშვილის გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც პოლიტოლოგი ,,რეზონანს“ გაესაუბრა. მისი თქმით, ერთადერთი პოზიტივი ამ არჩევნებისა იქნება ის, თუ მართლაც არ ჩაერევა ,,ოცნება“ და პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდება მესამე პოლიტიკური ძალა, რომელსაც ექნება საკმაოდ დიდი გავლენა და შანსი იყოს როგორც ოპოზიციის, ისე ,,ოცნების“ ალტერნატიური პოლიტიკური ძალა, მისი აზრით, აუცლებელია ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენა.(,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 27 ივლისი)

ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი და ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი ,,რეზონანსთან“ საპრეზიდენტო კანდიდატების შანსებზე ისაუბრა და ურჩია ,,ოცნებას“, საზოგადოებისთვის კარგად განემარტა, როგორ და რა ფორმით აპირებდა ის დამოუკიდებელი კანდიდატისთვის მხარდაჭერის აღმოჩენას. ხუხაშვილი საკამოდ მცდარ გადაწყვეტილებად აფასებს მმართველი გუნდის მიერ სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებას. მისი თქმით, ზურაბიშვილს პრეზიდენტობა 2012 წელსაც სურდა, თუმცა ივანიშვილმა მას უარი უთხრა და მისი აზრით, ახლაც ზურაბიშვილის სურვილი იქნებოდა საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება. ხუხაშვილის განმარტბეით, ,,ქართულ ოცნებას“ და ასევე სახელმწიფოსაც ძვირი დაუჯდება და თავის ტკივილად ექცევათ სალომე ზურაბიშვილი, რადგან ის საკმაოდ უცნაურ და სხვანაირი ხასიათის მქონე პიროვნებად მიიჩნევს ქალბატონ ზუარბიშვილს.(,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018წ., 2 აგვისტო)

სანამ პოლიტოლოგები და საზოგადოების უმეტესი ნაწილი ზურაბიშვილის კანდიდატად დასახელებას განიხილავდა, ,,ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის წევრებმა ცესკო-ში შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დაარეგისტრირეს. (,,რეზონანსი“, საქართველოს ამბები“, 2018წ., 7 აგვისტო)

,,დამარხავს თუ არა სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო იმედებს ომის დაწყებაზე გაკეთებული განცხადებები“?- ამ სათაურით ,,რეზონანსი“ გვაუწყებს, სალომე ზურაბიშვილის განცხადებას აგვისტოს ომის შესახებ, რაზეც მან საკუთარი

კანდიდატურის წარდეგენის დროს ისაუბრა. მისი თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომი მიხეილ სააკაშვილმა და იმდროინდელმა მმართველმა გუნდმა დაიწყო. ზურაბიშვილის ამ განცხადებას, რა თქმა უნდა, მოჰყვა შეფასებები პოლიტოლოგებისგან. გია ხუხაშვილის თქმით,ზურაბიშვილი ბრალს დებს ყოფილ გუნდთან ერთად სახელმწიფოსაც, რაც შესაძლოა არასწორად იქნას აღქმული და გააზრებული საზოგადოების მხრიდან. პოლიტოლოგ რამაზ საყვარლიძეს თქმით, ეჭვი სააკაშვილის მიმართ გამართლებულია, რადგან ამის საფუძველს მის მიერ გატარებული პოლიტიკა იძლევა, როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაშიც. საყვარელიძის თქმით, თუ ,,ქართული ოცნება" მხარს დაუჭერს სალომე ზურაბიშვილს, მას გამრჯვების დიდი შანსი ექნება, მაგრამ ამ მხარდაჭერის გარეშედაც იგი საინტერესო და მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში. (,,რეზონანსი", თამარ შუკვანი, 2018წ., 9 აგვისტო)

,,რეზონანსის" ცნობით, ცესკო-მ ,,გირჩის" ლიდერს ზურაბ ჯაფარიძეს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა. ამის მიზეზად, დასახელდა ის, რომ იურიდიულად არ იყო გაფორმებული ზურაბ ჯაფარიძე ,,გირჩად". ამ პარტიის მოთხოვნით, საარჩევნო ბიულეტინში, ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად უნდა წერებულიყო ,,გირჩი", რაც იურიდიულად მიღებელი აღმოჩნდა. ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ის აუცილებლად მიმართავდა იუიტიციის სამინსიტოს და მის სახელს ოფიცილაურად დაუმატებდა ,,გირჩს" და იქნებოდა - ზურაბ ,,გირჩი" ჯაფარიძე. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 10 აგვისტო)

,,სალომე ზურაბიშვილს სძულდა ზვიად გამსახურდია -მანანა არჩვაძე"- ,,რეზონანსი" საკამოდ სკანდალური სათაურით აქვეყნებს განცხადებას, რომელიც მანანა არჩვაძემ გააკეთა ამ პერიოდში, -**ჯანრი კაშია სუკ-ის აგენტი იყო, მისი ცოლიც სალომე ზურაბიშვილიც. ამ დუეტს სძულდა ზვიადი და მათ დიდი როლი ითამაშეს მის დამხობაში"-** განაცხადა არჩვაძემ. ,,რეზონანსი" წერდა, რომ საქმე ეხებოდა ჟურნალ ,,ივერიას", რომელსაც სალომე ზურაბიშვილი და მისი მეუღლე საფრანგეთში

გამოსცემდნენ და საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო სტატიებს ბეჭდავდნენ. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018 წ., 11 აგვისტო)

,,ლეიბორისტული პარტიის" ლიდერმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში პედოფილიაზე დაწესდება 30 წლიანი პატიმრობა და დამნაშავეს ჩაუტარდება ქიმიური კასტრაცია. პედოფილია არის ძალიან მძიმე დანაშაული და დღეს არსებული კანონით გათვალისწინებული სასჯელი კი -შეუსაბამოა. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 11 აგვისტო)

,,რეზონანსი" გვაუწყებს, რომ ,,შენების მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე ცესკო-ში განცხადება შეიტანა. მისივე თანაგუნდელის თენგიზ შერგელაშვილის თქმით, დავით უსუფაშვილი მისი წარსულიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად შეესაბამება პრეზიდენტობის კანდიდატურას. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 11 აგვისტო)

სალომე ზურაბიშვილის ტვ იმედთან გაკეთებულ განცხადებას ,,რეზონანსი" ბეჭდავს, თუ მას პრეზიდენტად აირჩევდნენ, იგი ავლაბრის სასახლეში არ შევიდოდა, რადგან მას სურს იყოს სხვა ტიპის პრეზიდენტი, ივლის ბაზარშიც საყიდლებზე. მისთვის მისაღები იქნება ათონელის ქუჩაზე მდებარე - ორბელიანის სასახლე, რადგან მის სახლთან ახლოს არის და ფეხით შეძლებს გადასვლას და გადმოსვლას.(,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 13 აგვისტო)

,,თქვენ და 400 ლარიან პენსიას შორის ბიძინა ივანიშვილი დგას"- ასე მიმართვადა ,,ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე კახეთის მოსახლეობასთან შეხვედრისას ერთ-ერთ ადგილობრივს, რომელიც პენსიის მომატებას ითხოვდა. გრიგოლ ვაშაძის აზრით, საქართველოში უკიდურესი გაჭირვებაა და ეს ყველაფერი არჩევნების გზით უნდა გამოსწორდეს. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018 წ., 14 აგვისტო)

აგვისტოს შუა რიცხვებიდან, სალომე ზურბიშვილმა წინასაარჩევნო კამპანია დიდი ჯიხაიშიდან დაიწყო, სადაც მისი წინაპრის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი მდებარეობს.

მისი თქმით, თუ გვსურს, რომ ქვეყანა იყოს ძლიერი, უაზრო დაპირისპირებები და ერთმანეთის სიძულვილი უნდა დასრულდეს. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 17 აგვისტო)

პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ,,მართველი პარტიის" მხარდაჭერის მოლოდინში იყო, ,,ქართული ოცნება" კი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა. პრემიერი ბახტაძე ამბობდა, რომ ,,ოცნებამ" რამდენიმე კვირიანი ,,ტაიმ აუტი" აიღო და მოვლენების განვითარებას ელოდებოდა. მათ საბოლოო, გადაწყვეტილება 8 სექტემბერს მიიღეს, როდესაც სალომე ზურაბიშვილი ცესკო_ში ოფიციალურად დარეგისტრირდა საპრეზიდენტო კანდიდატად. გაზეთი ,,რეზონანსი" გვთავაზობს პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის მოსაზრებებს ამ თემასთან დაკავშირებით. თავიდან როდესაც ,,ქართულმა ოცნებამ" გადაწყვიტა სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა, მის ქება-დიდებას არ იშურებდნენ და ამ პერიოდში, როდესაც საჭირო იყო მისი მხარდეჭერის ოფიციალურად გამოცხადება, რატომღაც ისინი თავს იკავებდნენ. სავარაუდო მიზეზი, შეიძლება ყოფილიყო ზურაბიშვილის განცხადებები აგვისტოს ომთან დაკავშირებით, რომელიც ჩირქს ცხებდა თვით ,,ქართულ ოცნებასაც.(,,რეზონანსი", თამარ შუკავნი, 2018წ., 20 აგვისტო)

,,რასაც თქვენ აკეთებთ, ეს არჩევნების ტოტალური გაყალბების სისტემის ჩამოყალიბებაა - ოპოზიცია ცესკოს-ს უტევს". - ამ სათაურით ,,რეზონანსი" გვთავაზობს გიორგი ვაშაძის გაცხადებას, რომლითაც მან ცესკო-ს თავჯდომარეს თამარ ჟავანიას მიმართა. **,,საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებმა ჩვენ მოგვაწოდეს მათ მიერ დაგზავნილი მეილები, სადაც კანონგარეშე ქმედებას ავალებენ, კანონის საწინააღმდეგო მითითებებს აძლევენ საოლქო საარჩევნო კომისიების ე.წ. დამოუკიდებელ, პროფესიულ ნიშნით შერჩეულ პირებს. შეგახსენებთ, რომ მათ 63 თანამშრომლის ცოლი დანიშნეს კომისიაში... მინდა მივმართო თამარ ჟვანიას - ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ქალბატონო თამარ, არის არჩევნების ტოტალური გაყალბების სისტემის ჩამოყალიბება ქვეყანაში."**(,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 30 აგვისტო)

საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდებოდა 8 სექტემბერს, რადგან ,,ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატურა დაასახელა. პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე ,,რეზონანსთან“ ინტერვიუში არ გამორცხავდა ინტრიგის შემოტანას, რომელსაც მმართველი გუნდი 8 სექტემბრამდე აპირებდა. ერთ-ერთი ვერსიით, იგი ასახელებდა პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატს ზურაბ აბაშიძესაც. მისი აზრით, თუ ,,ქართული ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატად ზურაბ აბაშიძეს დაასახელებდა, ,,ნაციონალური მოძრაობისთვის“ სერიოზული კონკურენტი აღმოჩნდებოდა. პოლიტოლოგის თქმით, პრეზიდენტობის კანდიდატურის არჩევის ჩიხში შესავლა გამოიწვია ზურაბიშვილის განცხადებებმა და თანაგუნდელებს შორის დაპირისპირებამ ზურაბიშვილის კანდიდატურის არჩევის გამო. თუმცა, მისი აზრით, ივანიშვილი არ შეცვლიდა ზურაბიშვილთან შეთახმებას, რადგან ბიძინას სჯეროდა, ზურაბიშვილი მეტ შეცდომას აღარ დაუშვებდა.(,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 4 სექტემბერი)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ,,ქართული ოცნება“ დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს უჭერს მხარს, გვაუწყებს გაზეთი ,,რეზონანსი“.- **,,პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მხარი დავუჭიროთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას. ვფიქრობთ, რომ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს შეუძლია, დაამკვიდროს ახალი ტრადიცია ჩვენს კონსტიტუციურ სისტემაში, მას შეუძლია პრეზიდენტის უფლება მოსილება განახორციელოს არა რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის, არამედ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით.“**- აღნიშნა პარლამენტის თავჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 10 სექტემბერი)

,,2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აქტიურად მოვლენ მხოლოდ სააკაშვილის მომხრეები და ,,ოცნების“ მიერ ადმინისტრაციული და ფულადი რესურსით მოყვანილი ადამიანები“ - ასე პროგნოზირებდა პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე, რომლის ინტერვიუსაც ,,რეზონანსი“ გვთავაზობს. მისი თქმით, საქართველოს მოსახლეობა

სკეპტიკურად იყო განწყობილი საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ. სოციოლოგიური კვლევებიდან გამომდინარე მოსახლეობის ნახევარზე მეტი ყველა პოლიტიკური კანდიდატის წინააღმდეგია, ანუ იყო განწყობა, რომ არჩევნებზე არ მივიდოდნენ და თუ მივიდოდნენ ყველა კანდიდატს გადახაზავდნენ. ეს კი პოლიტოლოგის აზრით, მართლაც საინტერესო მოვლენა იყო, რადგან 36 საპრეზიდენტო კანდიდატურას შორის მოსახლეობის მოსაწონი არცერთი იყო. ამის მიზეზად კი ის რამოდენიმე ფაქტორს ასახელებს; მოსახლეობის დიდი ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, გარდა ამისა გიორგი მარგველაშვილმა 5 წელიწადში ყველაფერი გააკეთა პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციისათვის და ბოლოს, დღევანდელი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტ მხოლოდ წარმომადგენლობითი და საარბიტრაჟო ფუნქია ექნება. თუმცა ეს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, სადაც, პრეზიდენტს მოსახლეობა აირჩევს, შემდეგში პრეზიდენტს საარჩევნო კოლეგია აირჩევს.(,,რეზონანსი", ია აბულაშვილი, 2018 წ., 10 სექტემბერი)

,,რეზონანსი" გვაუწყებს სალომე ზურაბიშვილის წინა საარჩევნო შეხვედრის შესახებ, რომელიც მან ქუთაისში ჩაატარა. მოსახლეობასთან შეხვედრისას მან საზღვარგარეთ წასულ ახალგაზრდებს მიმართა და ქართული ენის სწავლისა და საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. **,,მოვდივარ ჩემი ქართული ენით, რომელიც ზოგისთვის თურმე დასაწუნია, რასაც დიდი მნიშვნელობა არ აქვს... ჩემი მაგალითი სწორედ ეს არის. მე კიდევაც დავბრუნდი და ხვალ კიდევაც პრეზიდენტი გავხდები"** -განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 13 სექტემბერი)

,,რეზონანსი" აქვეყნებს ნინო ბურჯანაძის განცხადებს, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ეხება. მისი თქმით, ის თუ წავა არჩევნებზე ყველა კანდიდატს გადახაზავს, რადგან მან, რომ ვინმეს მხარი დაუჭიროს, ის ადამინი უნდა იყოს მისთვის მისაღები, საწუხაროდ, არცერთი კანდიდატი აღმოჩნდა ასეთი, მითუმეტეს არც ზურაბიშვილი, რომელმაც კამპანია ტყულებით დაიწყო. ბურჯანაძე ზურაბიშვილს მატყუარას უწოდებს, რადგანაც

მისი აზრით, მან დამოუკიდბელი კანდიდატის როლი გაითამაშა და ,,ქართულ ოცნებას“ ამოეფარა. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 19 სექტემბერი)

,,მარიხუანა ქვეყანაში პრობლემაა, რომელიც ახალგაზრდობას ანადგურებს. მე ვიქნები ამ ნარკოტიკის საწინააღმდეგო საინფორმაციო კაპანიის სათავეში“ - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმაბათუმში, ამომრჩევლებთან შეხვედრის წინ, ჟურნალისტებთან. მისი თქმით ციხე არ არის გამოსავალი, ციხე არის გამოსწორების გზა. მან ასვე აღნიშნა, რომ დეკრიმინალიზაციის მომხრეა. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 25 სექტემბერი)

,,რეზონანსი“ გვთავაზობს პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირიძის წინასაარჩევნო შეფასებებს. მისი თქმით, ,,ნაციონალური მოძრაობა“ ზურაბიშვილის კრიტიკით არის დაკავებული, რასაც მოწმობს ,,რუსთავი-2“, მისი გადაცემები და ზურაბიშვილის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარი. ხოლო, რაც შეეხებოდა ზურაბიშვილის რეიტინგს, ის თვლის, რომ მისი რეიტინგი ძალიან დაეცა, რაც მისმა გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია. პოლიტოლოგის აზრით, ამ პოლიტიკური ვითარებებიდან გამომდინარე არ გამორიცხავს მეორე ტურს, უფრო სწორედ მას გარდაუვლად მიიჩნევს. (,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018წ., 26 სექტემბერი)

დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მიმართული შავი კამპანია, მისთვის მიუღებელია, თუმცა ის ამაბობს, რომ პროვოკციები მას ვერ შეაჩერებს. ამ თემას გამოეხმაურა კახი კალაძე, რომლის განცხადებასაც ,,რეზონანსი“ გვთავზობს - **,,ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის 28 ოქტმობრის საპრეზიდენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ არჩევნებით უნდა დავამკვიდროთახალი ჯანსაღი და დემოკრატიული კონსტიტუციური ტრადიცია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი“.** (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 2 ოქტომბერი)

,,ვინც ზურაბიშვილს ეხმარება, ყველა უნდა შევავიწროვოთ და გავაძევოთ“ - გვარამია პირდაპირ ეთერში დაემუქრა ზურაბიშვილის მხარდამჭრებს, რამაც საზოგადოებაში

აღშფოთება გამოიწვია. მისი თქმით, ვინც სალომე ზურაბიშვილს აფინანსებს და კამპანიაში სხვაგვარად ეხმარება, ეს იქნება პოლიტიკურ, კულტურულ თუ სპორტულ სფეროში მოღვაწე ადამიანი, ყველა უნდა შეიწროვდეს და სათანადოდ დაისაჯოს, რადგანაც მისი დახმარება იყო ქვეყნის მოღალატის დახმარება და მოღალატისგან ყველაფერს უნდა ელოდეს ჩვენი ქვეყანა. გვარამიას თქმით, ჯერ ზურაბიშვილს არჩევნების წაგებაში დაეხმარება და შემდგომ მიხედავს მოღალატის თანამდგომებს.(,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 6 ოქტომბერი)

მსახიობი ზურა ყიფშიძე აკეთებს განცხადებას სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ, რასაც ,,რეზონანსი" გვთავაზობს- **,,ზურაბიშვილმა ძლაინ კარგად იცის იმადამიანების ბედი, გრძნობები, რომლებიც სამშობლოს გარეშე ცხოვრობენ დიდი ხანი საზღვარგარეთ. ძალიან დიდი დამსახურებაა მისი, რომ ემიგრანტებმა დაიბრუნეს, ასე ვთქვათ, საქართველოს პასპორტები ოფიციალურად. იგი არის პირდაპირი,, არაჩვეულებრივად განათლებული და ჭკვიანი ქალბატონი."**- განაცხადა მსახიობმა რუსთაველის თეატრში სალომე ზურაბიშვილის წარდგენის ღონისძიებაზე.

,,ევროპული საქართველოს" პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის , პრეზიდენტობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ყველა პოლიტიკური დევნილი შეწყალებული იქნება, მათ შორის ყოფილი მაღალჩინოსნები- ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია. ,,ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე ამ თემაზე გაზეთ ,,რეზონანს" გაესაუბრა. მისი თქმით, დავით ბაქრაძის გამარჯვების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგება ექსპრეზიდნეტ მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი, მას საქართველოში დაბურნების საშუალება მიეცემა. (,,რეზონანსი", თამარ შუკვანი, 2018წ., 8 ოქტომბერი)

პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია წინა საარჩევნო გარემოს განხილვისას ღნიშნავდა, რომ წინასაარჩევნო ფონი საკმაოდ აგრესიული იყო, ძალიან წააგავდა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდს. ძირითადად ბრძოლა მიმდინარეობდა ორ პარტიას - ,,ნაციონალებსა" და ,,ოცნებას" შორის. მისი აზრით, ამ არჩევნებში მოსახლეობა გამოიჩენდა დაბალ აქტივობას, დაახლოებით 34%, თუმცა ზურაბიშვილი აიღებდა 54-

55%, ასევე არ გამორიცხავდა მეორე ტურსაც. (,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 12 ოქტომბერი)

სალომე ზურაბიშვილმა მის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაზე საგანგებო ბრიფინგზე ისაუბრა. ზურაბიშვილის თქმით, მის მიმართ ლანძღვა-გინებებმა სისტემური ხასიათი მიიღო. ნიკა გვარამიას მუქარებს კიდევ დაემატა, facebook-ზე კომენტარები, სადაც ზურაბიშვილს ყელის გამოჭრით ემუქრებიან. იგი ყველას მშვიდობისაკენ მოუწოდებდა, რადგან აღნიშნავდა, რომ დაპირისპირება უფრო ასუსტებს ქვეყანასო.(,,რეზონანსი, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 12 ოქტომბერი)

არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად პოლიტიკურ პარტიებში, ასევე საზოგადოებაშიც ტემპერატურა ნელ-ნელა იწევდა. ,,რეზონანსი“ ოქტომბრის ერთ-ერთ ნომერში მოცემულია სოციოლოგ ვაჟა გორგილაძის შეფასებები. იგი 2018 საპრეზიდენტო არჩვნების წინასაარჩევნო კაპანიას ყველაზე ,,ბინძურ“ და აგრესიულ კამპანიად მიიჩნევდა. სამწუხაროდ, სწორედ, ასეთი ტიპის კამპანია აწყობდა ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას. ასევე წინასაარჩვენოდ სარეკლამო რგოლებში დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა სამომავლო გეგმებს, რაც არცერთი პრეზიდენტობის კანდიდატის სლოგანებში არ ჩანდა. პოტენციური ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა კანდიდატების განვლილ პოლიტიკურ საქმიანობაზე. მისი აზრით ქართულ პოლიტიკურ კულტურაში, სამწუხაროდ, მხოლოდ შავი პიარი დომინირებდა და არა თეთრი პიარტქნოლოგიები. პოლიტოლოგის აზრით, ამომრჩევლის გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა სალომე ზურაბიშვილის გამონათქვამებმა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით და ამიტომაც ამომრჩეველი ყურადღებას არა მის სლოგანზე ,,ერთად საქართველოსთვის“ გაამახვილებს ყურადღებდა, არამედ მხოლოდ მის მოქმედებს და განცხადებებს გაიხსენებს.(,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 15 ოქტომბერი)

,,რეზონანსი“ გამოეხმაურა 15 ოქტომბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის, პირველი არხის ეთერში გასულ გადაცემას, ,, დებატები- 2018-ში“ და ამ გადაცემის ანალიზი

შესთავაზა მკითხველს. ზოგადად, მსგავსი დებატები წინასაარჩევნოდ ძალიან კარგი საშუალებაა, იმისათვის რომ საზოგადოებამ დროებით დაივწყოს პოლიტიკოსების ერთმანეთში დაპირისპირებები და ყურადღება გაამახვილოს საგარეო პოლიტიკაზე და მომავლის ხედვებზე. ამ დებატებში მონაწილეობას იღებდა დამოუკიდბელი კანდიდატი- სალომე ზურაბიშვილი, ,,ძალა ერთობაშია"- გრიგოლ ვაშაძე, ,,ევროპული საქართველო"- დავით ბაქრაძე. ანალიტიკოსის დავით ბაქრაძის შეფასებით, ამ გადაცემაში სალომე ზურაბიშვილმა იმაზე უკეთ წარმოაჩინა თავი, ვიდრე მოსალოდნელი იყო, ოპოზიციის კანიდატების გამოსვლას კი ,,აგრესიულ" გამოსვლად შეაფასა. მისი თქმით, ქართული პოლიტიკური კულტურა განსხვავდება დასავლური კულტურისაგან, თუკი აღნიშნული დებატები მოახდენდა გავლენას, ეს იქინებოდა ადამიანთა ძალიან ვიწრო წრე. (,,რეზონანსი", თამარ შუკვანი, 2018წ., 16 ოქოტმბერი)

გაზეთ ,,რეზონანსში" ასარჩევი კანდიდატები მიმართ ნეიტრალური ტონი ჭარბობდა, ასევე ნეგატიური ტონიც შეიმჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსების მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები არასდროს სცილდებოდა ეთიკის ნორმებს.

1.3.გაზეთი ,,ასავალ-დასავალი"

საიანტერესოა, როგორ გააშუქა გაზეთმა ,,ასავალ-დასავალი" 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ეს გაზეთი გამოირჩევა წერის თავისებურებებით, აგრესიული სტილით, ანტიპათიით პოლიტიკური დაჯგუფებების მიმართ.

,,ასავალ-დასავალი" აგვისტოს დასაწყისიდან იწყებს საპრეზდენტო არჩვენებში ჩართავს. **,,ზვიად გამსახურდიას შემდეგ ყველა მომდევნო პრეზიდენტი წინამორბედზე უარესი და უარესია!"** ამ სათაურით, ავტორი მკითხველს ატყობინებს, რომ გამსახურდიას შემდგომ ვერცერთმა პრეზიდენტმა ვერ გაამრთლა. იგი იხსენებს წარსულს, ზვიადის პრეზიდენტობის პერიოდს, როდესაც მან უარი განაცხადა ამერიკის

მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე, რითაც მისი ქვეყნის ინტერესები დააყენა წინ. შემდგომ, იყო შევარდნაძე, რომელმაც საქართველოს ამერიკის კოლონად გადაქცევა დაიწყო. 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციით" მოსული მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც შევარდნაძეზე ნიჭიერად და მრავათფეროვნად გაყიდა საქართველო-ცალკე ამერიკაზე, ცალკე რუსეთზე, გიორგი მარველაშვილმა მისი ფუნქცია მხოლოდ ავლაბრის რეზიდენციაში ჯდომით დაადასტურა. ავტორის თქმით, არა აქვს მნიშვნელობა შემდგომი პრეზიდენტის გვარსა და სახელს, რადგანაც მარგველაშვილის შემცვლელი, მასზე უარესი იქნება. (,,ასავალ-დასავალი", გიორგი გიგაური, 2018წ., 30 ივლისი-5 აგვისტო)

2018 წლის 4 აგვისტოს ტელეკომპანია ,,იმედის" საინფორმაციო გამოშვება ქრონიკის პირდაპირ ჩრთვისას ,,ქართული ოცნბის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ ,,ნაციონალების" საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ სიტყვა ,,შეტენვა" იხმარა, რაც მოსაწონი აღმოჩნდა ,,ასავალ-დასავალის" რედაქციისთვის. კერძოდ. ვოლსკიმ, რომელიც ნაციონალური მოძრაობის შესახებ საუბრობდა, ასეთი რამ განაცხადა: ,,**ქვეყანაში ძალიან პოზიტიური ტენდენციები მიმდინარეობს, მაგრამ ძალიან ბევრი პრობლემაა დარჩენილი. ,,ნაციონალბს უნდათ, რომ პრობლემა რაც შეიძლება გააღრმავონ, რათა იქნებ როგორომე გრიგოლ ვაშაძეს ,,შეტენონ" პოლიტიკური მართვის სისტემა".** ავტორის აზრით, ქართველი ხალხი იმ დონემდე არასოდეს დაეცემა, რომ გრიგოლ ვაშაძე პრეზიდენტი გახდეს. ავტორის თქმით, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრო დანაშაულებრივი პარტიის - ,,ნაციონალური მოძრაობის", ,,ვაშა" და ,,ურა", რომელიც ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1ოქტომბერს ჩაახშო, მაგრამ კოჰაბიტირებულმა ,,ქართულმა ოცნებამ" კვლავ აახმიანა. (,,ასავალ-დასავალი", ჯაბა ხუბუა , 2018წ., 30 ივლისი- 5აგვისტო)

,,ეს ქალი მსოფლიოში თავს მოგვჭრის"- ამ სათაურით ,,ასავალ-დასავალი" აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ინტერვიუს გვთავაზობს. მისი თქმით, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ბრძოლაში სამი ძირითადი კანდიდატი გამოიკვეთება, დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, ,,ძალა

ერთობაშია“ გრიგოლ ვაშაძე, ,,ევროპული საქართველო“ დავით ბაქრაძე. ავტორი პირდაპირაცხადებს, რომ არჩევნებზე არცერთ კანდიდატს ხმას არ მისცემდა. სალომე ზურაბიშვილის შემხედვარე, პირველი რაც თავში აზრად უჩნდება არის ის, რომ ეს ქალი იქნება ქვეყნის სირცხვილი და თავის მოჭრა, ასევე ზურაბიშვილის მთაწმინდის მაჟორიტარად ყოფნისას, მას არაფერი გაუკეთებია მთაწმინდელებისთვის და არც ქვეყანას გაუკეთებს კარგს, ამიტომ ,,ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გარეშე ნამდვილად გაუჭირდება არჩევნების მოგება. რც შეეხება გრიგოლ ვაშაძეს, მას სააკაშვილის ,,ჯამბაზად“ მოიხსენიებს. (,,ასავალ-დასავალი“, გიორგი გიგაური, 2018წ., 20-26 აგვისტო)

,,ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძვნებელი მერაბ შათირიშვილი ქვეყანაში საზოგადოებრივ- პოლიტიკურ ვითარებას მიმოიხილავდა და მიიჩნევდა, რომ თუ ხელისუფლებაში რადიკალური ცვლილებები არ განხორციელდა, 2020 წლისათვის სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალი იქნება. მისი პროგნოზით, საპრეზიდენტო არჩევნებს აუცილებლად სალომე ზურაბიშვილი მოიგებდა, თან მეორე ტურსაც არ გამორიცხავდა. ასევე, მისი თქმით, შესაძლოა სალომე ზურაბიშვილი ,,ქართულ ოცნებას“ განწირული ჰყავდეს, რადგან მმართველი გუნდი ბაქრაძესაც უპირებს გაპრეზიდენტებას. მისი აზრით, სწორედ, კოჰაბიტაციის შედეგია ის, რაც დღეს ხდება, კერძოდ, ,,ქართული ოცნების“ რეიტინგის დავარდნა სწორედ პარტიების ,,თანაცხოვრებამ“ გამოიწვია და ხალხში უკმაყოფილებაც ამის შედეგია. (,,ასავალ-დასავალი“, დიტო ჩუბინიძე, 2018წ., 10-16 სექტემბერი)

პოეტი და ეთნოკულტურათა მკვლევარი საქართველოში კობა არაბული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ,,ასავალ- დასავალთან“ ინტერვიუთი ხელისუფლებასა და საზოგადოებას მიმართავს, **,,ცილისწამება და უზნეობა სისხლის სამართლით უნდა ისჯებოდეს!“** 2018 წლის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო გარემოს იგი ანომალიურს უწოდებს. მისი აზრით, ხალხი ერთმანეთისაგან შავსა და თეთრს ვერ არჩევს, ვერ ხედავდნენ განსხვავებას სალომე ზურაბიშვილსა და გრიგოლ ვაშაძეს შორის. მისი აზრით, სალომე ჯობია ყველა ნაციონალს, ბაქრაძე- ბოკერია-ვაშაძეს,

თავისი სააკაშვილიანად. იგი საზოგადოებას კითხვით მიმართავს, ,,რა დააშავა ზურაბიშვილმა მოღალატის იარლიყი რომ მიაკრეს და ნაცისტური ტელევიზიები აფიშებივით აკრავენ ეკრანებზე?!" არაბულის აზრით, ქალის მიმართ მსგავსი ცილისმწამებლული და შეურაცხმყოფელი განცხადებები სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს. ის ასევე ამართლებს ზურაბიშვილის 2008 წლის ომთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს , რადგანაც სააკაშვილი გაება რუსეთის მიერ დაგებულ მახეში და ქვეყანას ეს ძალიან ძვირად დაუჯდა. მისი აზრით, საზოგადოება ისე არ უნდა გაბრიყვდეს, რომ ,,ბოკერიებისა" და ,,ვაშაძეების" პოლიტიკაში მობრუნება დაუშვას. (,,ასავალ-დასავალი", ნატო ფორცხიშვილი, 2018წ., 8-14 ოქტომბერი)

გაზეთ ,,ასავალ- დასავალში" მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე ყველაზე მეტი გამოქვეყნებული მასალა ,,ქართულ ოცნებას" დაეთმო, პოლიტიკოსების ამბების გაშუქებისას გამოირჩეოდა მმართველი გუნდის პოზიტიური, ხოლო ძველი ხელისუფლების ნეგატიური ტონით წარმოჩენა. ხშირად შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. ხშირი იყო პოლიტიკოსთა უარყოფითი ფაქტებით გამყარებული მსჯელობა. განსაკუთრებულად მძიმე, შეურცმხყოფელიც კი გაზეთ ,,ასავალ-დასავალში" ერთ-ერთ ნომერში (,,ასავალ-დასავალი", დიტო ჩუბინიძე, 2018 წ., 24-30 სექტემბერი), მაგალითად : 1. ,,ნიკა გვარამიამ და ნაცსექტის წარმომადგენლებმა მწარე წიწაკა არათუ შეჭამონ, არამედ უკანალშიც, რომ ამოისვან, გრიგოლ ვაშაძე- ანანიაშვილისა საქართველოს პრეზიდენტი მაინც ვერ გახდება"; 2. ,, ქაქს ჭამენ, წიწაკას აყოლებენ".

თავი II. საპრეზიდენტოარჩევნების I და II ტური

,,საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2018 წლის 28 ოქტომბერს. არჩევნებისთვის გახსნილი იყო 3705 უბანი, მათ შორის საქართველოში -3637 და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი -11, ხოლო საზღვარგარეთ 39 ქვეყანაში - 55 საარჩევნო უბანი. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის მუშაობდა მედიაცენტრი, სადაც ჟურნალისტებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი მათი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთის.“ (საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, შუალედური ანგარიში 1 აგვისტო -1 ოქტომბერი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია)

ცესკოს მონცემები: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები:

დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი - 38.64%

,,ძალა ერთობაშია“ გრიგოლ ვაშაძე - 37.64%

,,ევროპული საქართველო“ დავით ბაქრაძე - 10.97 %

,,ლეიბორისტული პარტია“ შალვა ნათელაშვილი - 3,74 %

,,2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისკენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს პრეზიდენტის გამოსავლენად საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება, ვინაიდან პირველ ტურში პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ხმათა 50% მეტი ვერ დააგროვა. მეორე ტურში გავიდა საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი - ,,ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც მხარს გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი სახელწოდებით ,,ძალა ერთობაშია“ უჭერდა.“ (საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, შუალედური ანგარიში 1 აგვისტო -1 ოქტომბერი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია)

2.1.გაზეთი „საქართველოსრესპუბლიკა“

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემდგომ, 30 ოქტომბრის ნომერში გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ ამომრჩევლებს მიმართავს: ,, **სირცხვილი იმ ამომრჩეველს, ბოროტება სიკეთისაგან, რომ ვერ გაურჩევია! როგორც ჩანს შეჩვეულ ჭირს, მეტადრე იმ ცხრაწლიან ჭირს, მართლა შეჩვევა სცოდნია, ვიდრე შეუჩვეველ ლხინს, რომლისკენაც, სამწუხაროდ, ბრმად და მტრისა და მოყვრის განურჩევლად ვისწრაფვვით! ჯერ-ჯერობით ბურთი აშკარად ნაციონალი ვაშაძეების ხელშია, ვნახოთ მოახერხებს თუ არა ,,ოცნება“ მეორე ტურამდე დარჩენილ დროში მოედნის დაუფლებას და ბურთის მოხელთებასაც!“**

ამასთანავე ,,საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს პრემიერ- მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებას, რომელმაც შეაჯამა პირველი ტურის შედეგები და განაცხადა, რომ ქართველი საზოგადოებისგან მიიღეს მკაფიო გზავნილი მათ შეცდომებზე და იმაზეც, თუ რა მოლოდინები ჰქონდა მოსახლეობას ხელისუფლებისგან. ასევე, პრემიერმა აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდობიან, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა. (,,საქრთველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია“, 2018წ., 30 ოქტომბერი.)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ აგრძელებს ანალიზს პირველი ტურის არჩევნების შედეგების შესახებ. ამ პუბლიკაციაში საუბარია სოციალურ ქსელში, კერძოდ, ფეისბუქზე გამოქვეყნებული სტატუსის შესახებ, რომელიც ეგზითპოლების შედეგების გამოცხადებიდან, რამდენიმე წუთში დაიწერა. ფეისბუქ სტატუსში ავტორი აღნიშნავს, რომ ამ არჩევნებმა მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე საქართველოში ძალიან ცუდი ვითარება ასახა. ცუდი და საშიში იმის გამო, რომ დაინიშნა მეორე ტური და ალბათ იმის გამოც, რომ მეორე- მესამე ადგილზე გავიდნენ ,,მკვლელები, მოძალადეები და რევანშისტები“. ავტორის თქმით, ყველაზე საშიში და ცუდი ვითარება

იყო იმის გამოც, რომ სოციალურად აქტიური ადამიანები, ისხდნენ და ფეისბუქში ,,ღადაობდნენ“ შექმნილი ვითარების გამო, ნაცლად იმისა, რომ ,,ხმლები აელესათ, ,,ლაიქებს ითვლიდნენ“. ავტორი ასევე ახსენებს იმ მიზეზებს, რის გამოც ,,ქართულმა ოცნებამ“ მოსალოდნელი ხმები ვერ მიიღო. მისივე თქმით, მმართველი გუნდის მთავრი შეცდომა, ექვსი წლის მანძილზე უპატრონოდ მიგდებული ნამდვილი მხარდამჭერები კოჰაბიტირებული ოპოზიციური პარტია და საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი კანდიდატის არ დასახელება აღმოჩნდა. კახი კალაძემ, არჩევნების შემდგომ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ გუნდში გასაძლიერებელი იყო მენეჯმენტი სახელმწიფო ინსტიტუტებში და კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ავტორის თქმით, მეორე ტურამდე არსებულ მოკლე პერიოდში ,,ქართულ ოცნებას“ უნდა მოეხდინა ამომრჩევლის სრული მობილიზაცია, რადგან გრიგოლ ვაშაძე პირველი ტურის შედეგებით, ფაქტობრივად გამარჯვებულად ჩაითვალა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018წ., 30 ოქტომბერი)

სალომე ზურაბიშვილი ვაშაძეს და რუსეთს ქვეყანას არ დაუთმობს! -ამ სათაურით,,საქართველოს რესპუბლიკა“ სალომე ზურაბიშვილის საგანგებო პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას აქვეყნებს, - ,,პირველ რიგში, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოვიდა არჩევნებზე, ვინც მხარი დამიჭირა, ხმა მომცა, ყველას, ვინც ორთვენახევარი ასე აქტიურად მონაწილეობდა კამპანიაში... შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს არ არის დამაჯერებელი გამარჯვება, შეიძლება ველოდით მეტს, მაგრამ პირველ ტურში პირველი ადგილი ეს არის გამარჯვება. ყველაფრის მიუხედავად, იმ ბინძური კამპანიისა, ცილისწამებისა, რომელიც ეკუთვნის რუსულ ტექნოლოგიას, ამ ყველაფრის მიუხედავად პირველი ტურში პირველი ადგილი არის გამარჯვება... მე მგონი, არ მიცნობენ, კახელიც ვარ და მეგრელიც -ჯიუტი, ბოლომდე წამსვლელი, ჩემი ხალხისა და ქვეყნის ერთგული. ამიტომ მზად ვარ მეორე ტურისთვის. მზად ვარ ბრძოლისთვის!..“ (,,საქართველოს რსპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 31 ოქტომბერი)

ამასთანავე ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ნათია მეზვრიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც საუბარი იყო არჩევნების პერიოდში დარღვევის ფაქტებზე. იმ დღეებში 15-მდე პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 31 ოქტომბერი)

საინტერესოა, ასევე ბალერინა ირმა ნიორაძის ფეისბუქ სტატუსი, რომელსაც ,,საქართველოს რესპუბლიკა“ სთავაზობს მკითხველს. ქ.-ნი ნიორაძე იმ ხალხს პასუხობს, რომლებიც მისი სალომე ზურაბიშვილის მიმართ მხარდაჭერამ გაღიზიანდა. იგი იხსენებს წარსულს, კერძოდ, 2004 წლის არჩევნებს, როდესაც მხარი ქვეყნის ხსნას და თავიუფლებას დაუჭირა, ანუ ,,ნაციონალურ მოძრაობას“ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მაშინ მან სააკაშვილის ინაუგურაციის დღეს ჩატარებულ კონცერტშიც მიიღო მონაწილეობა და ძალიან ბედნიერი იყო, რადგან იმედი ჰქონდა ქვეყნის გაბრწყინებული და თავისუფალი მომავლის, თუმცა მის წარმოდგენაში არსებული თავისუფლება მალევე ჩაიკეტა, რის გამოც უცხოეთში მოუწია მას და მის ოჯახს გადახვეწა. ზოგმა მოღალატე უწოდა, ზოგმა ანანიაშვილის მეტოქე. ახლა, კი ის თვლის, რომ ნამდვილდ შეუძლია შიშის გარეშე გამოხატოს თავისი აზრი და პოზიცია, რაც ნამდვილად შეუძლებელი იყო წინა ხელისფლების დროს. საერთოდ არ ფიქრობდა, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს, ასე ადვილად დაუბრუნდებოდა ,,ცოცხების ნოსტალგია“. მიუხედავად ყველაფრისა, ის დღემდე აკეთებდა და აკეთებს იმ სიკეთეს, მშვიდად, რასაც ქველმოქმედება ჰქვია, რადგან სამშობლოს ვერავინ წაართმევს, ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,უკან მეწყერია“, 2018წ., 31 ოქტომბერი)

28 ოქტომბერი გასული იყო, თუმცა საქართველოში კვლავ წინასაარჩევნო ვნებათა ღელვა იყო , ამჯერად გადამწყვეტი მეორე ტურის მოლოდინში. ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, ,,**2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში საკუთარი მოქალაქეობრივი პოზოცია 1637 956 ამომრჩეველმა დააფიქსირა, რაც საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები, კერძოდ, 46.74%-ია“**

მეორე ტურის წინ შექმნილ ამგვარ ვითარებაში მთავარი კითხვები იყო: მოახერხებს თუ არა გაერთიანებული ოპოზიცია სხვა ოპოზიციური გაერთიანებების ხმების მობილიზებას? დარჩა თუ არა მმართველ გუნდს 28 ოქტომბერს, აუთვისებელი ელექტორალური რესურსი? მოახერხებენ თუ არა პოლიტიკური მეტოქეები მეორე ტურის დღეს საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის იმ 54% -ის გაყვანას, რომელმაც სკეპტიკური განწყობის, ინდიფერენტულობისა თუ პროტესტის ნიშნად 28 ოქტომბერს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

,,საქართველოს რესპუბლიკა" პირველი ნოემბრის ნომერით, გვაუწყებდა ანალიტიკოსების პროგნოზებს საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით. ანალიტიკოსის კახა გოგოლაშვილის აზრით, მეორე ტურში გამარჯვების შანსი ორივეს თანაბრად ჰქონდა. მისი აზრით, მმართველ გუნდს გამოუყენებლი რესურსი მართლაც დარჩა და ჰქონდა მისი გამოყენების ფინანსური შესაძლებლობები, ოღონდ შეცდომების დაშვების გარეშე. რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძის პერსპექტივებს, კახა გოგილაშვილის თქმით, რბოლიდან გათიშული საპრეზიდენტო კანდიდატების ხმები გაიყოფა, თუმცა ვაშაძე მაინც შეძლებს 50% მოგროვებას და მოგების რეალური შანსი გააჩნა.(,,საქათველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 1 ნოემბერი)

2018 წლის 7 ნოემებერს რუსთაველის თეატრში საზოგადოების ნაწილი 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების გასაპროტესტებლად შეიკრიბა. დარბაზში მყოფები, სიტყვით პოეტმა დავით მაღრაძემ მიმართა. ამ ინფორმაციას გვაწვდის ,,საქართველოს რესპუბლიკა". დავით მაღრაძის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებში ღირსების ხმა გაისმა, გულგატეხილი ხალხი არჩევნებზე არ მივიდა. მისივე თქმით, წლების წინ ღირსების დასაცავად საზოგადოების უმრავლესმა ნაწილმა წინა ხელისუფლება არჩევნების გზით დაამარცხა. ეს იყოს ხალხის ნება და არა ბიძინა ივანიშვილის. პოეტმა მოუწოდა, ბ. ივანიშვილს, რომ კეთილი ნებით შემოუერთდეს მათ და გახდეს მათი მხარდამჭერი.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 8 ნოემბერი)

,,სალომე ზურაბიშვილის ,,გაუჩინარებიდან“ ერთი კვირა გავიდა“- ამ სათაურით გვაუწყებს ,,საქართველოს რესპუბლიკა“,რომ სოციალური ქსელის მომხმარებლები, ოპოზიცია და ამომრჩეველი ,,ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატს კვირაზე მეტია უშედეგოდ ეძებენ. მმართველი გუნდი საარჩვენო კამპანიას სალომე ზურაბიშვილის გარეშე აგრძელებს. პარლამენტის წევრის სოფიო კილაძის განმართებით, ისინი ელოდებოდნენ ოფიციალურად მეორე ტურის თარიღის გაცხადებას, რის შემდეგაც ქალბატონი სალომე აქტიურად და ძალიან ეფექტურად გააგრძელებს კამაპანიას. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 9 ნოემბერი“)

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის მოლოდინში პოლიტიკური გუნდები აქტურად ცდილობდნენ დამატებითი ხმების მობილიზებას. ამკუთხით განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იმ პოტენციურ ამომრჩეველთა ხმებზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით 28 ოქტომბერს საარჩევნო უბანზე არ მივიდნენ. არსებობდა მოლოდინი, რომ მას შემდეგ, რაც ,,ევროპულმა საქართველომ“ მეორე ტურისთვის გაერთიანებულ ოპოზოციის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს გამოუცხადა მხარდაჭერა, ამ პარტიის მიერ პირველ ტურში მობილიზებულ ხმათა 11% -ის მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე ტურში გრიგოლ ვაშაძის ,,ყულაბაში“ გადაინაცვლებდა , ისევე როგორც ,,რესპუბლიკელებისა“. ამას შესაძლოა ,,გირჩისა“ და ,,ლეიბორისტების“ მხარდამჭერთა ხმების გარკვეული ნაწილიც დამატებოდა, თუმცა სოციოლოგები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ მმართველმა გუნდმა შინ დარჩენილთა 54%-ის ნაწილის არჩვენებზე გაყვანა უნდა მოეხერხებინა. ამასთანავე ,,ქართული ოცნება“ ოპოზიციის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებსაც 11 ნოემბრიდან აანონსებდა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პოლიტიკურიი ლაბირინთი“, 2018წ., 10 ნოემბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ გვაუწყებს სალომე ზურაბიშვილის საგანგებო ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებას: -**,, ბოლო დღეებში- კერძოდ 9, 10, 11 ნოემბერს -განხორციელდა ჩემი შვილების - თეიმურაზისა და ქეთევანის - და პირადად ჩემს მიმართ ესემესი და ხმოვანი შეტყობინებები, სადაც ნათლადაა გამოთქმული**

სიცოცხლის მოსპობის მუქარა. მუქარა რეალურია, რამეთუ ავტორები იდენტიფიცირებული პირები არიან, ყოფილი სამხედროები დაკავშირებული თავისივე სტატუსებიდან გამომდინარე ,,ნაციონალურ მოძრაობასთან" და მის მეთაურებთან... მივმართავ საზოგადოებას და კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ვალდებულებაა, სახელმწიფო უწყებებთან ერთად დაიცვან წინასაარჩევნო სიმშვიდე და წონასწორობა... ამდენად, შესაძლო მოვლენების განვითარებაზე, ჩემს და ჩემს ოჯახის მიმართ თუ ქვეყანაში დესტაბილიზაციის კუთხით, პასუხისმგებლობას ამ საქციელის ავტორებთან გაინაწილებენ, ისინიც, თუ სათანადო და მყისიერი რეაგირება არ მოყვა". (,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 13 ნოემბერი")

,,ნაცმოძრაობა დესტაბილიზაციით და რევოლუციით იმუქრება", ამ სათაურით ,,საქართველოს რესპუბლიკა" გვამცნობს, პარლამენტის თავჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებას, იმის შესახებ, რომ ,,ნაცმოძრაობის" ლიდერები პირდაპირ საუბრობდნენ იმაზე, რომ დაგეგმილი ჰქონდათ რევოლუციური სცენარი, თუმცა ისინი საქართველოში დესტაბილიზაციას და რევოლუციას ვერ ეღირსებოდნენ. მისი აზრით, რევოლუციაზე პირდაპირ საუბრობდა სააკაშვილი და ეს იკვეთებოდა როგორც ,,ნაცმოძრაობის" ლიდერებისგან, ასევე მათი რუსი პიარტექნოლოგების ფრაზებიდან.(,,საქართველოს რესპუბლიკა", ,,მხოლოდ მთავარზე", 2018 წ., 14 ნოემბერი)

ცესკოს გადაწყვეტილებით 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ოთხშაბათს, 28 ნოემბერს ჩატარდება. ამ გადაწყვეტილებას ,,საქართველოს რესპუბლიკა" გამოეხმაურა და გააანალიზა, თუ ,,ვის აწყობს ან არ აწყობს, არჩევნები ოთხშაბათს!". ავტორის აზრით, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა სამუშაო დღეს არჩევნების ჩატარება, რადგან საქართველოს კანონმდებლობა საზღვარგარეთ არ ვრცელდება და ეს დღე უქმედ ვერ გამოცხადდებოდა. ავტორის აზრით, ოთხშაბათი დღე ნამდვილად არ იყო პრობლემა, რადგან 2006, 2008, 2012 წლის არჩევნებიც სამუშაო

დღეებში ჩატარდა, კერძოდ, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. ,,საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების მეორე ტური დაინიშნოს მე-14 დღეს, არჩევნების შედეგების შეჯამების და შესაბამისი განკარგულების გამოცემის შემდეგ. რადგანაც ცესკომ ეს პროცედურები საარჩევნო დავების დასრულების შემდეგ, 14 ნოემბერს გამართულ სხდომაზე გაიარა, შესაბამისად, არჩევნების თარიღად 28 ნოემბერი დასახელდა.“ ავტრის აზრით, არჩევნბის დღედ, ოთხშაბათი დღის დასახელების პრობლემად გადაქცევა არის ხელოვნურად შექმნილი პრობლმა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ადუღებული დრო“, 2018 წ., 16 ნოემბერი)

თბილისის ქუჩებში გამოჩენილ აგრესიული შინაარსის ბანერებს წარწერით, ,,არანაცებს, არა ბოროტებას“, ეხმიანება გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“. ავტორი გვაუწყებს, თუ ვინ და რატომ გადაწყვიტა მსგავსი კამპანიის წარმართვა თბილისში. ამ ბანერის დამკვეთი აღმოჩნდა ბიზნესმენი, წინანდლის ღვინის ქარხნის მფლობელი ალექსანდრე მეგუთნიშვილი, რომლის თქმითაც, წინა ხელისუფლების დროს სრულიად უკანონოდ დააკავეს და ამ ფორმით მან საკუთარი პოზიცია გამოხატა. ბანერების საკითხთან დაკავშირებით, მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის საარჩევნო შტაბში განაცხდეს, რომ ბილბორდები მათი დაკვეთით არ გაკეთებულა.(,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ადუღებული ჟამი“, 2018წ., 20 ნოემბერი)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩვენების მეორე ტურის წინა დღით, 27 ოქტომბერს ,,საქართველოს რესპუბლიკა“, მიმართვას მკითხველს,- ,,არა, ქართველნო, ჩვენ ნეოფაშისტური ნაციონალების მობრუნებაზე არ გვიოცნებია! ჩვენი ოცნება იმთავითვე უწინარესად ანტიეროვნული ნაციონალების პოლიტიკური სარბიელიდან სრულ გაქრობას გულისხმობს! და სწორედ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ,,ქართული ოცნების“ სრული ხორცშესხმა, რაც ქვეყნის კეთილდღეობას დაჩქარებულად მიგვაახლოებს. არ და არა ვაშაძეში განსახიერებულ სააკაშვილს! ყველამ ერთად ერთსულოვნად მივცეთ ხმა ღირსეულ ქართველ მანდილოსანს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც თანაბრად საქართველოს ყველა მოქალაქის დედა-პრეზიდენტი იქნება!“

,,სალომე ზურაბიშვილმა საარჩევნო კამპანია ენგურის ხიდზე დაასრულა“, ამ სათაურით გვაუწყებს ,,საქართველოს რესპუბლიკა“, რომ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა სიმბოლურად, მდინარე ენგურზე შვილებთან ერთადსაარჩევნო კამპანია დაასრულა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ან აღმავლობა, ან დაღმავლობა“, 2018წ., 27 ნოემბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ ამავე ნომერში გავუწყებს, რომ 25 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე გაიმართა, ,,პატრიოტთა ალიანსის“ ორგანიზებით აქცია სახელწოდებით- ,,არა ნაციზმს, არა ძალადობას“. აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედანზე რუსთაველის პროსპექტიდან მსვლელობით წამოვიდნენ, შეძახილით -,,არა მიშას, ,,არა ნაციზმს“. ,,პატრიოტთა ალიანსის“ წევრები აქციაზე შეკრებილ 100 ათასამდე ადამიანს მოუწოდებდნენ, რომ 28 ნოემბერს მხარი დამოუკიდებელი კანდიდატისთვის სალომე ზურაბიშვილისთის დაეჭირათ. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პანორამა“, 2018წ., 27 ნოემბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ 30 ნოემბრის ნომრით გვაუწყებს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციას, რომლის თანახამდაც, საპრეზიდენტო არჩვნების მეორე ტურში მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩველის ხმათა - 59,52% მიიღო, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ - 40,48%. 28 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობამ 5-ის ნაცვლად 6 წლით, პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩია ქვეყნის პრეზიდენტი. სქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ფიცს დებს არჩევიდან მესამე კვირა დღეს, ამიტომ პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერს, კახეთში, ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმის ეზოში გაიმართა. (,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,სიმართლე, მხოლოდ სიმართლე“, 2018წ., 30 ნოემბერი)

,,საქართველოს რესპუბლიკა“ სალომე ზურაბიშვილს გამარჯვებას ულოცავს და მიმართავს: -,, ძვირფასო ქალბატონო სალომე! თქვენ ქართველ ხალხთან ერთად მეტად მძიმე ბრძოლა გადაიტანეთ გაიძვერა და ცბიერი ბნელი ძალების წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენი წინაპრისა არ იყოს, თქვენმა სიკეთემ სძლია ბოროტებას და დღეს თქვენ პირველი ქართველი დედა- პრეზიდენტი ბრძანდებით ჩვენი საყვარელი საქართველოსი. იმედია, თქვენი ევროპული ცოდნა- განათლება და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ,,ოცნების" მხარდამხარ ახალ მამოძრავებელ ძალად იქცევა და მრავალტანჯულ საქართველოს გადაარჩენს და გაამთლიანებს. ჩვენი გაზეთი იმთავითვე ყოველთვის თქვენ გვერდით იდგა და კვლავაც თქვენ გვერდით გვიგულეთ! უღრმესი პატივისცემით და იმედებით .(,,საქართველოს რესპუბლიკა", რედაქციის სახელით სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი., 2018წ., 30 ნოემბერი)

2.2. გაზეთი „ასავალ-დასავალი"

,,აგრე ვიცის ჯაყომა!"- ამბობს დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ზებოროტი და ზეგარყვნილი პერსონაჟი. ,,აგრე ვიცის კოჰაბიტაციამა!" -ამბობს დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი ,,ასავალ-დასავალი", და იმას, რაც ვიცის კოჰაბიტაციამა, ქვემორე სულ გამოწვლილვით ჩაგიწიგნავთ! - ასე ეხმაურება გაზეთი ,,ასავალ-დასავალი" პირველი ტურის შედეგებს და მეორე ტურისათვის მზადების დაწყებას. ავტორის აზრით, თითქოს დღევნდელ საქართველოზე თქვა მე-18 საუკუნის ფრანგმა განმანათლებელმა მოლტერმა - ,,სახელმწიფოს აუძლურებს არა ფულის, არამედ ნიჭიერი ადამიანის ნაკლებობა. ავტორის აზრით, ექვსი წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მყოფი პარტია მკვლელებისა და გამაუპატიურებლების პარტიას პირველივე ტურში არჩვენებს რომ ვერ მოუგებს, ეს უკვე უფრსკრულის ფსკერია, რომელშიც ,,ქართული ოცნება", თავისმა ახალგამომცხვარმა უნიჭო ლიდერებმა და უნიჭო პიარისტებმა გადაჩეხეს! ჯაბა ხუბუას თქმით, პირველი ტური ,,ქართული ოცნებისთვის" ,,ცივი შხაპის" მიღება გამოდგა, თუმცა ესეც ნაკლებად საიმედოა, თუ რამდენად მოიყვანს გონს ეს ,,ცივი შხაპი" მმართველ გუნდს.(,,ასავალ-დასავალი", ჯაბა ხუბუა, 2018წ., 29 ოქტომბერი- 4 ნოემბერი)

,,ბიძინა ივანიშვილმა ხალხთან ხელშეკრულება უნდა დადოს“, ამ სათაურით გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“ გვამცნობს, რომ საპრეზიდნეტო არჩევნების პირველ ტურში სალომე ზურაბიშვილმა, არათუ ვერ მოიგო, არამედ პირველი ტურიწააგო სააკაშვილის ,,სანაცეთთან“. ავტორის თქმით, იმისათვის, რომ სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტურში დამაჯერებლად მოუგოს ნაცების კანდიდატს, ამისთვის საჭიროა, რომ ,,ქართული ოცნების“ მესვეურები ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის მქონე ამომრჩევლისკენ შემობრუნდნენ. ავტორი მკითხველს სთავაზობს შვიდ პუნქტიან გეგმას, რის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს ბიძინა ივალიშვილმა მომავალში.

1. ,,ქართულმა ოცნებამ“ უპირობოდ უარი უნდა თქვას ნარკოლიბერალიზაციისა და ნარკოტიკების პროპგანდის პოლიტიკაზე.

2. ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პირობა უნდა დადოს, რომ მიგრაციული კანონმდებლობის ისეთი მკაცრი რეგულაციების მიღებაზე, როგორიც მოქმედებს ევროკავშირის წევრ იტალიაში, უნგრეთსა, თუ პოლონეთში.

3. მკაცრად შეზღუდოს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივი თავგასულობა ანუ სოროსიზმს.

4. კანონმდებლობით უნდა აკრძალოს ანტიმართლმადიდებლური და გეიპროპაგანდის პოპულარიზაცია.

5. ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად, აღიკვეთოს ყაჩაღ ბანკების და მიკროსაფინანსო ორგნიზაციების მიერ ქართველი ხალხის ძარცვა.

6. ბოლო მოუღოს ჩინოვნიკურ გაზულუქებას.

7. დედაეკლესიასთან და ქართულ საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე ქვეყნისთვის არცერთი უმნიშვნელოვანესიგადაწყვეტილება არ მიიღოს. (,,ასავალ-დასავალი,“ გიორგი გიგაური, 2018წ., 5-11 ნოემბერი)

,,არა მიშას, არა გრიშას!!!“ - ,,წადით არჩევნებზე არა ,,ოცნების“, არამედ საქართველოს გადასარჩენად!“ ასე მიმართავს გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“ მკითხველს. ავტორი 28 ოქტომბერს არჩევნებზე პროტესტის ნიშნად არ მისულა, ხალხს მოუწოდებდა დარაზმულიყვნენე და არ დაეშვათ, ,,მისტერ ბოროტების“, ანუ გრიგლ ვაშაძის

გაპრეზიდენტება. იგი ამომრჩევლებს ახსენებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იმართებოდა არა სალომე ზურაბიშვლსა და გრიგოლ ვაშაძეს, არა ,,ოცნებასა“ და ,,ნაცებს“ შორის, ამიტომ ქართველ ხალხსა და ნაცებს შორის და ასე, რომ ,,არა მიშას- არა გრიშას!“(,,ასავალ-დასავალი,“ ჯაბა ხუბუა, 2018წ., 5-11 ნოემბერი)

სამ დღეში საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლებოდა, რომელსაც 6 წლის შემდეგ ისტორია თავის ადგილს მიუჩენს. ამის შესახებ, ეთნოკულტურათა მკვლევარი კობა არაბულმა ,,ასავალ-დასავალთან „ ისაუბრა. მისი თქმით, ჯერ კიდევ საუკუნის წინათ ერთმა ხევსურმა იქადაგა- ,,კვლავ მოვა ქალი ხელმწიფედ 9 საუკუნის შემდეგ და ქვეყანას მერე ეშველებაო“. დღეს კი დადგა ჟამი, როდესაც საზოგადოების ცნობიერება თითქმის წაშლილია - მას შავ-თეთრი და კეთილ- ბოროტი ერთმანეთში აქვს არეული. კობა არაბულის თქმით, ,,ოცნებამ“ უნდა იზრუნოს ერის კონსოლიდაციისთვის, რადიკალურად შეცვალოს საზოგადოებასთან მიდგომის კრიტერუმი და სწრაფად გაწმინდოს პოლიტიკური სივრცე. მას ასევე ეჭვი არ ეპარებოდა ზურაბიშვილის გამარჯვებაში,გაზეთიდან მიმართა - ,, გააგრძელეთ თქვენი წინაპრების ღირსეული გზა, განავითარეთ ეროვნული იდეოლოგია. დანერგეთ ახალ-ახალი პროგრამები საქართველოს ასაყვავებლად, ჩვენ კი მწერლებს დაგვიბრუნეთ მწერალთა სახლი, რაც ღირსეული პრეზიდენტის, პირველი ღირსეული ნაბიჯი იქნება. გვჯერა ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი ამას შეძლებს!“ (,,ასავალ-დასავალი,“ ნატო ფოცხიშვილი, 2018წ., 26 ნოემბერი-2 დეკემბერი)

,,პირველად საქართველოს ისტორიაში ქართველმა ხალხმა მანდილოსანს გადასცა ნდობის მანდატი - საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია, მგრამ, როგორც ჩანს, არჩევნები ამით არ დასრულებულა - 29 ნოემბერს ფილარმონიაში ნციონლურმა მოძრაობამ ახალი მოთხოვნები დააყენა, როგორც პრეზიდნტობის ყოფილი კანდიდატი, პარტია ,,თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ამბობს, ეს მოთხოვნები მხოლოდ ,,ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეკუთვნის და მოვლენების შემდგომი განვითარება ბიძინა ივანიშვილის კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.“ -ასე აუწყა ,,ასავალ-დასავალმა“ მკითხველს

სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება.(,,ასავალ-დასავალი," ,,ო-პოზიცია", 2018წ., 26 დეკემბერი -2 დეკემბერი)

2.3. გაზეთი „რეზონანსი"

,,ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატმა ყველა დიდ ქალაქში წააგო" ამ სათაურით აუწყებს ,,რეზონანსი" მკითხველს საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებს. ,,რეზონანსი" აქვეყნებს ცესკო-ს შედეგებს, რის მიხედვითაც სალომე ზურაბიშვილმა გამარჯვება მოიპოვა: საჩხერის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, სვანეთის, რაჭის, აჭარის მთლიანი ოლქებში. შიდა ქართლში მხოლოდ ორი ოლქი წააგო, ასევე წააგო სამგრელოსა და სამტრედიის ოლქების უმეტესი ნაწილი. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის შეფასებით, არჩევნები, საკმაოდ დემოკრატიულ გარემოში ჩატარდა, რადგან დარღვევები და შეუსაბამოებები მასშტაბური არ ყოფილა. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 30 ოქტომბერი)

,,მმართველი გუნდი" მარცხდება არა ,,ნაციონალურ მოძრაობასთან", არამედ სკუთარ თავთან, საკუთარ ამპარტავნობასთან, სიბრიყვესთან და გარყვნილებასთან", - ასე გამოეხმაურა საპრეზიდენტო არჩვენების შედეგებს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი. მისი თქმით, თუ მმართველ გუნდი სისტემურ ცვლილებებს არ დაიწყებდა და ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ისევ იგნორირებას გაუკეთებდა, მეორე ტურის ჩატარებაც კი - აღარ უშველიდათ. (,,რეზონანსი", ,,საქართველოს ამბები", 2018წ., 30 ოქტომბერი)

გაზეთი ,,რეზონანსი" გვთავაზობს მოცემულ მასალაში გუბაზ სანიკიძის განცხადებას, რომელიც მან ტელეკომპანია ,,ტვ-პირველის" ეთერში გააკეთა, - ,, რა დღეში ხართ? ემიგრაციაში წასულმა უპასპორტო კაცმა მოგიგოთ არჩევნები. აი, ეს არის თქვენი გენიალურობისა და თქვენი ბელადის დამსახურება, რომ ბიძინა არის არისტოტელე, მაკედონელი და ილია ჭავჭავაძე ერთად მასში განსახიერებული". (,,რეზონანსი", საქართველოს მთავარზე", 2018წ., 31 ოქტომბერი)

ეკა ბესელიას განცხადებას გვთავაზობს გაზეთი ,,რეზონანსი“. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილთან ჰქონდა კომუნიკაცია და როგორც მმართველი გუნდი, ისევე ქ.-ნი ზურაბიშვილი აქტიურად ემზადება მეორე ტურისათვის, ასევე აღნიშნა, რომ მათი მთავარი ამოცანა იყო იმ ადამიანთა მობილიზება, ვინც არჩევნებზე არ გამოცხადდა.(,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018., 31 ოქტომბერი)

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე ,,რეზონანსთან“ ინტერვიუში, აფასებს პირველი ტურის შედეგებს. მისი თქმით, გრიგოლ ვაშაძეს მეორე ტურში გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა, რაშიც მცირე წვლილი ,,ნაციონალებს“, ხოლო დიდი წვლილი ,,ქართულ ოცნებას“ მიუძღვის. მისი აზრით, ,,ოცნების“ წინასაარჩევნო რიტორიკამ და არასწორად შერჩეულმა კანდიდატმა საზოგადობა იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ დიდი ნაწილი სახლში დარჩა, ამან კი ვაშაძის გამარჯვებას ხელი შეუწყო. თუმცა, ბ.-ნიხმალაძის აზრით,ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანა საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდებოდა.(,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018წ., 31 ოქტომბერი)

გრძელდება საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეფასებები პოლიტოლოგებისა და ექპერტების მიერ. გაზეთი ,,რეზონანსი“ გვთავაზობს პოლიტიკური ექსპერტის არჩილ გამზარდიას შეფასებას. ბ.-ნი გამზარდიას თქმით, საპრეზიდენტო არჩვნების პერიოდში ,,ქართული ოცნების“ კამპანიის დროს აქცენტი კეთდებოდა წინა ხელისუფლების კრიტიკაზე და წარსულის გახსენებაზე. როგორც აღმოჩნდა, ამ სტრატეგიით კამპანიის წარმართვამ, არ გაამართლა. მისი აზრით, ხელისუფლება ვალდებულია, გულგატეხილი ამომრჩეველის გული მოიგოს, რათა უპირატესობა მეორე ტურში, სალომე ზურაბიშვილმა მოიპოვოს. (,,რეზონანსი“, ნინი შონია, 2018., 1 ნოემბერი)

საპრეზიდენტო არჩვნების თემას ეხამურება მომღერალი ბუბა კიკაბიძე, რომლის ინტერვიუსაც გაზეთი ,,რეზონანსი“ გვთავაზობს. ბუბა კიკაბიძე მხარს უჭერს გრიგოლ ვაშაძეს, რადგან მისი აზრით, ის არის განთლებული, მრავალი ენის მცოდნე და ქვეყნის ერთგული, პატრიოტი ადამიანი. რუსეთის კადრად და მოღალატედ სალომე

ზურაბიშვილსმიიჩნევს. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ გრიგორლ ვაშაძე გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი.(,,რეზონანსი“, ,,საქართველოს მთავარზე“, 2018წ., 5 ნოემბერი)

გაზეთი ,,რეზონანსი“ გვთავაზობს ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებას, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. მათი თქმით, არჩევნების პირველ ტურს არაერთი დარღვევა, არათანაბარი სათამაშო ველი და პოლარიზებული მედია გარემო ახასიათებდა, ასევე წინასაარჩევნო კამპანიაც, საკმაოდ ბიძნური და სასტიკი იყო. თუმცა, ამერიკელ ანალიტიკოსთა აზრით, საქართველომ ამ არჩევნებით ნამდვილ პროგრესს მიაღწია, შემდეგი ეტაპი იქნება ნატო-ში და ევროკავშირში გაწევრიანება, ამას კი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მეტი გამჭირვალობა უძღვის წინ.(,,რეზონანსი“, ,,ამერიკის ხმა“, 2018წ., 9 ნოემბერი)

გაზეთი ,რეზონანსი“ გვაუწყებს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში მავთულხლართების გავლება 2008 წლის ომის შემდეგ, 2018 წლის ნოემბერში ისევ განახლდა. საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილის გამოჩენას საოკუპაციო ხაზთან კი, მოსახლეობის მხრიდან ხმაური მოჰყვა. ,,ანტისაოკუპაციო მოძრაობის” ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სალომე ზურაბიშვილის უთხრა, რომ მას იქ ყოფნის უფლება არ ჰქონდა, რადგან სააქართველოს აგვისტოს ომის დაწყებაში ადანაშაულებს. (,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018წ., 9 ნოემბერი)

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილის ინტერვიუს გვთავაზობს გაზეთი ,,რეზონანსი“. სოსო ცისკარიშვილის თქმით, ის შედეგი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ პირველი ტურის შემდეგ მიიღო, იყო საზოგადოების გულგრილობის და ლაჩრობის შედეგი, რადგან 6 წლის განმავლობაში ხმაამოუღებლივ ისმენდა ორი პოლიტიკური ძალის ლაძღვა- გინებას. ასევე, აკრიტიკებს წინასაარჩევნო კამპანიას, რადგან კონკურნტებისა და მათი მხარდამჭერების მსგავსი თავდასხმები, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი ფორმით, როგორიც საქართველოში იყო, რასაც საქართველოს და ქართველი ხალხის სირცხვილად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების

მეხსიერებაში მყარად არის ჩაბეჭდილი ორი პოლიტიკური ძალის სხვადასხვა ცოდვები, ის მაინც ამომრჩევლებს მოუწოდებს 28 ნოემბრეს არჩევნებში მონაწილეობის და გონივრული გადაწყვეტილების მიღებისაკენ.(,,რეზონანსი", ია აბულაშვილი, 2018წ., 24 ნოემბერი)

მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე ორმა ტელევიზიამ, ; ,,იმედმა" და რუსთავი-2-მა" მაყურებელს წარუდგნია, მათივე დაკვეთით ჩატერებული კვლევის შედეგები. ,,იმედის" დაკვეთით ,,გელაპინტერნეიშნაილის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში - სალომე ზურაბიშვილი იგებს, ხოლო ,,რუსთავი-2-ის" დაკვეთით ,,ედისონ რისერჩის" კვლევით- გრიგოლ ვაშაძე. გაზეთი ,,რეზონანსი" გვათავაზობს ,,ქართული ოცნების" პრესსამსახურის წარმომადგენლის გრეტა წიწავას ინტერვიუს, სადაც იგი ამბობს, რომ ,,იმედის" მიერ ჩატრებულ კვლევასთან, მმართველ გუნდს არანაირი კავშირი არ ჰქონდა.. ის ასავე, სიფრთხილსკენ მოუწოდებდა ტელეკომპანიებს, რადგან პირველ ტურში მათი კვლევაც და ეგზითპოლებიც, რომელიც ,,ფსიქოპროექტმა" ჩაატარა, რეალური შედეგისაგან ძალიან განსხვავდებოდა, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.(,,რეზონანსი", ეკატერინე ბასილაია, 2018წ., 24 ნოემბერი)

არჩევნებადმე ერთი დღით ადრე პოლიტიკური ტემპერატურა კვლავ მაღლა იწევდა, შესაბამისად ოპონენტებს შორის დაპირისპირებები და ურთიერთბრალდებები პიკს აღწევდა. გაზეთი ,,რეზონანსი" კი გვამცნობს არჩევნების წინა დღით, ანალიტიკოსებისა და პოლიტოლოგების საბოლოო საარჩევნო კამპანიის შეფასებას. როგორც კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, ,,ქართული ოცნების" ამომრჩეველი მეორე ტურისთვის უფრო მობილიზებული გახდა და ზურაბიშვილსაც ამომრჩეველი მიემატა, თუმცა ოპოზიცია აცხადებდა, რომ ხელისფულება მასობრივი გაყალბებისთვის ემზადებოდა და ამომრჩველის ზრდაც ხელოვნურად იყო შექმნილი. ანალიტიკოსების აზრით, გააქტიურდა ის ამომრჩეველი, რომელიც ლოიალურია ,,ქართული ოცნების" მიმართ, მაგრამ არ მოსწონდა სალომე ზურაბიშვილი და სწორედ ეს კატეგორია მივიდოდა არჩევნებზე, ,,ქართული ოცნების" გადასარჩენად. რაც შეეხება, მეორე ტურში გაერთიანებული ოპოზიციის შანსს, ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ოპოზიციის

მომხრეთა მეორე ტურში გააქტიურება რეალური იყო, ამასთანავე სხვადასხვა პარტიის ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი სწორედ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს - გრიგოლ ვაშაძეს დაუჭერდა მხარს.(,,რეზონანსი", ელზა პაპოშვილი, 2018წ., 27 ნოემბერი)

,,მე-5 პრეზიდენტის ვიანობა უკვე ცნობილია- საყოველთაო მობილიზაციის და ლამის სამკვდრო- სასიცოცხლო ომად გამოცხადებული მეორე ტური შემდეგ, სალომე ზურაბიშვილი გახდა პირველი ქალი და ხალხის მიერ ბოლოჯერ არჩეული პრეზიდენტი." ასე გვაუწყებს გზეთი ,,რეზონანსი" 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას და სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას. ცესკოს- მონაცემებით სალომე ზურაბიშვილმა ამომრჩეველთა- 57% მიიღო, ხოლო გრიგოლ ვაშაძემ- 43%. ეგზითპოლების გამოცხადების შემდეგ, ,,ქართული ოცნების" ოფისის ეზოში, სადაც ბიძინა ივანიშვილი, ,,ოცნების" ლიდერები და მათი მხარდამჭერები იყო შეკრებილი, სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს.(,,რეზონანსი", ეკატერინე ბასილაია, 2018წ., 29 ნოემბერი)

,,საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო" შეფასებით - ,,2018 წლის 28 ოქტომბრის კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს პრეზიდენტი გამოსავლენად საჭირო გახდა არჩვნევნების მეორე ტურის გამართვა, ვინაიდან პირველ ტურში პრეზიდენტობის ვერცერთმა კანდიდატმა ხმათა 50%- მეტი ვერ მიიღო. მეორე ტურში გავიდა საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი - ,,ქართული ოცების" მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და ,,ძალა ერთობაშიას" კანდიდატი -გრიგოლ ვაშაძე. პირველ ტურთან შედარებით, მეორე ტურის წინასაარჩვენო პერიოდი კიდევ უფრო მკვეთრი პოლარიზებით და მეტად გამოხატული კამპანიით ხასიათდებოდა, რაც გამოიხატებოდა კანდიდატების და მათი მხარდამჭერების მიერ მედიით გაკეთებულ განცხადებებში, კანდიდატების წინასაარჩევნო რეკლამებში და სოციალურ მედიაში მიმდინარე აგრესიულ კამპანიაში." (,,საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო", 2018წ., 27 ნოემბერი, www.transparency.ge)

გაზეთების ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“, ,,ასავალ-დასავალი“ გაანალიზებისას დავადგინე, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის პერიოდის ასახვა აღნიშნულ გაზეთებში ძალიან დიდი რაოდენობით ხდებოდა. გაზეთებში უმეტესწილად გვხვდებოდა ეთიკური ნორმების დარღვევები. ისინი არ ერიდეობდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტისა თუ საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობის ჩვენებას. აღსანიშნავია, ისიც რომ გაზეთები ყურადღებას ამახვილებდა წინასაარჩევნო პროგრამების და კამპანიის მიმდინარეობაზე.

დასკვნა

საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი 1991 წლის 14 აპრილს იქნა შემოღებული, იმავე წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები. მას შემდეგ მედიის როლი მეტად გაიზარდა. არჩევნების ობიექტურად გასაშუქებლად მედიას **მიუკერძოებლობისა** და **სამართიანობის** პრინციპის დაცვა დაეკისრა.

ნაშრომში ანალიზის შედეგად შესწავლილია 2018 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ასახვა გაზეთებში: ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“ და ,,ასავალ-დასავალი“.

შესწავლის შედეგად შემდეგი დასკვნა გამოვიტანეთ: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ასახვა გაზეთებში; ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,რეზონანსი“, ,,ასავალ-დასავალი“ რეგულარულად ხდებოდა, თითოეულ გაზეთში გამოიკვეთა მიკერძოებულობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისადმი.

გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას ანალიტიკურ პუბლიკაციებს სთავაზობდა მკითხველს, მათში სჭარბობდა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონი, თუმცა იგრძნობოდა დადებითი დამოკიდებულება მმართველი პარტიისადმი.

გაზეთი ,,რეზონანსი“ საპრეზიდენტო არჩვნების მიმდინარეობისას გამოირჩეოდა დასახელებული კანდიდატების მიმართ ნეიტრალური მუხტით. მასში ასახული კრიტიკული მოსაზრებები არსადროს სცილდებოდა ეთიკის ნორმებს. ასევე, ყურადღებას ამახვილებდა წინასაარჩევნო პროგრამებისა და კამპანიის მიმდინარეობაზე.

გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“ მთელი საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისასგამოირჩეოდა მმართველი გუნდის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებით, შეინიშნებოდა ეთიკის ნორმების დარღვევებიც. ნაკლებად ორიენტირებული იყო საარჩვენო განხილვა-წარდგენაზე მკითხველის წინაშე.

სამივე გაზეთში, ხშირად შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი, ან უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. ხშირი იყო პოლიტიკოსთა უარყოფითი ფაქტებით გამყარებული მსჯელობა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ

აღნიშნულ გაზეთებში აქტუალურად მიმდინარეობდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩვნების გაშუქება-ასახვა და კანდიდატების ავ-კარგის ჩვენება.

ბიბლიოგრაფია:

1. დამხამრე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, მომზადებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ, 2015-2016წ.წ. გვ. 49-50;
2. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდქსი“ 2014 წ.;
3. არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2016-2018 წ.წ., მომზადებულიაევროკავშირისა (EU) დაგაეროსგანვითარებისპროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, გვ. 69-70;
4. ,,საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“, 2018წ., 27 ნოემბერი, www.transparency.ge
5. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები, შუალედური ანგარიში 1 აგვისტო -1 ოქტომბერი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია.

6. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ჩვენი დროის ,,გიუვრაცუა“, 2018 წ., 3 ივლისი;

7. გაზეთი ,, საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დღეს ხვალისათვის“ 2018 წ., 12 ივლისი;

8. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 14 ივლისი;

9. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“ 2018 წ., 14 ივლისი;

10. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ..მხოლოდ მთავრზე“, 2018 წ., 17 ივლისი;

11. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 19 ივლისი;

12. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ბუბა ჩართოლანი, 2018 წ., 19 ივლისი;

13. გაზეთი ,,საქრთველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 24 ივლისი;

14. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, მარი ჩუბინიძე, 2018 წ., 27 ივლისი;

15. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მსოფლიოს ყურადღების ცენტრში“, 2018 წ., 1 აგვისტო;

16. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 2 აგვისტო;

17. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 7 აგვისტო;

18. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავრაზე“, 2018 წ., 9 აგვისტო;

19. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 აგვისტო;

20. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა,“ ,,ეს ჩვენი საქართველოა“, ,,2018 წ., 16 აგვისტო;

21. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ეს ჩვენი საქართველოა“, 2018 წ., 16 აგვისტო;

22. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ., 18 აგვისტო;

23. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ნუგზარ ფოფხაძე, 2018 წ., 23 აგვისტო;

24. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ჰამლეტ ჭიპაშვილი, 2018 წ., 23 აგვისტო;

25. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ვიქტორ რცხილაძე, 2018 წელი, 25 აგვისტო;

26. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,შინ და გარეთ“, ამერიკის ხმა, 2018 წ., 4 სექტემბერი;

27. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია პლატონიშვილი, 2018 წ., 6 სექტემბერი;

28. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 8 სექტემბერი;

29. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 8 სექტემბერი;

30. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ვაჟა ჟღენტი, 2018წ., 8 სექტემბერი;

31. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ზაურ ნაჭყებია, 2018 წ., 8 სექტემბერი;

32. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ალექსი მეჭიაური, 2018 წ., 11 სექტეემბერი;

33. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, სანდრო ალექსიძე, 2018 წ., 11სექტემბერი;

34. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 სექტემბერი;

35. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დღის ციტატები“, 2018 წ., 13 სექტემბერი;

36. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ამერ-იმერში“, 2018 წ., 13 სექტემბერი;

37. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პოლიტიკური ლაბირინთები“, 2018 წ., 15 სექტემბერი;

38. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 18 სექტემბერი;

39. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დღის ჭირ-ბოროტი“, 2018 წ., 20 სექტემბერი;

40. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ვიცქიროთ მომავლისკენ“, 2018 წ., 20 სექტემბერი;

41. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 21 სექტემბერი;

42. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, თამთა ქარჩავა, 2018 წ., 21 სექტემბერი;

43. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 22 სექტემბერი;

44. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ გოგიაშვილი, 2018 წ., 22 სექტემბერი;

45. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 26 სექტემბერი;

46. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ლალი ზირაქიშვილი, 2018 წ., 26 სექტემბერი;

47. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ., 29 სექტემბერი;

48. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა,“ ,,მხილებას სასჯელი უნდა მოჰყვეს!“, 2018 წ., 2 ოქტომბერი;

49. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა,“ მარიამ პაიჭაძე, 2018 წ., 2 ოქტომბერი;

50. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა,“ არჩევანი-არადანი, 2018 წ., 3 ოქტომბერი;

51. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,იამაყე, საქართველოვ“, 2018 წ., 5 ოქტომბრი;

52. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ წიკლაური“, 2018 წ., 6 ოქტომბერი;

53. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ალეკო ასლანიშვილი“, 2018 წ., 6 ოქტომბერი;

54. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,უნიკომი“, 2018 წ., 6 ოქტომბერი;

55. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, პირველი გვერდი, 2018 წ., 9 ოქტომბერი;

56. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 11 ოქტომბერი;

57. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, თამთა ქარჩავა, 2018 წ., 11 ოქტომბერი;

58. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ნინო თარხნიშვილი, 2018 წ., 12 ოქტომბერი;

59. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პრეზიდენტობა ყველას უნდა“, 2018 წ., 12 ოქტომბერი;

60. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018 წ., 16 ოქტომბერი;

61. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გურამ წიკლაური, 2018 წ., 17 ოქტომბერი;

62. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა“, ლონდა მდივანი, 2018 წ. 18 ოქტომბერი;

63. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ვახტანგ დავითაია, 2018 წ. 18 ოქტომბერი;

64. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ,,აირევი ივერია“!.., 2018წ. 18 ოქტომბერი;

65. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, სანდრო ალექსიძე, 2018წ. 18 ოქტომბერი;

66. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 2018წ. 19 ოქტომბერი;

67. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია!“, 2018წ. 20 ოქტომბერი;

68. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018 წ. 20 ოქტომბერი;

69. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,საქართველო გულში“, 2018წ. 20 ოქტომბერი;

70. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, სპარტაკ ქობულია, 2018წ. 23 ოქტომბერი;

71. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია!“ 2018წ., 26 ოქტომბერი;

72. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ისიდორე (მამული) ჯანელიძე, 2018 წ. 27 ოქტომბერი;

73. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მარათონი“ 2018 წ. 27 ოქტომბერი;

74. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 11 ივნისი;

75. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 25 ივნისი;

76. გაზეთი ,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ., 28 ივნისი;

77. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018 წ., 9 ივლისი;

78. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულშვილი, 2018 წ., 11 ივლისი;

79. გაზეთი ,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია, 2018 წ., 12 ივლისი;

80. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 14 ივლისი;

81. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018 წ., 14 ივლისი;

82. გაზეთი ,,რეზონანსი, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 14 ივლისი;

83. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი“, 2018 წ., 18 ივლისი;

84. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 19 ივლისი;

85. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 20 ივლისი;

86. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 24 ივლისი;

87. გაზეთი ,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია, 2018 წ., 26 ივლისი;

88. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 27 ივლისი;

89. გაზეთი ,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ., 2 აგვისტო;

90. გაზეთი ,,რეზონანსი“, საქართველოს ამბები“, 2018 წ., 7 აგვისტო;

91. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 9 აგვისტო;

92. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 10 აგვისტო;

93. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 11 აგვისტო;

94. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 13 აგვისტო;

95. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 14 აგვისტო;

96. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 17 აგვისტო;

97. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკავნი, 2018 წ., 20 აგვისტო;

98. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 30 აგვისტო;

99. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 4 სექტემბერი;

100. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 10 სექტემბერი;

101. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018 წ., 10 სექტემბერი;

102. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 13 სექტემბერი;

103. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 19 სექტემბერი;

104. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 25 სექტემბერი;

105. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 26 სექტემბერი;

106. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 2 ოქტომბერი;

107. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 6 ოქტომბერი;

108. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 8 ოქტომბერი;

109. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 12 ოქტომბერი;

110. გაზეთი ,,რეზონანსი, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 12 ოქტომბერი;

111. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 15 ოქტომბერი;

112. გაზეთი ,,რეზონანსი“, თამარ შუკვანი, 2018 წ., 16 ოქოტმბერი;

113. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, გიორგი გიგაური, 2018 წ., 30 ივლისი - 5 აგვისტო;

114. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ჯაბა ხუბუა , 2018 წ., 30 ივლისი - 5 აგვისტო;

115. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, გიორგი გიგაური, 2018 წ., 20-26 აგვისტო;

116. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, დიტო ჩუბინიძე, 2018 წ., 10-16 სექტემბერი;

117. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ნატო ფორცხიშვილი, 2018 წ., 8-14 ოქტომბერი;

118. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, დიტო ჩუბინიძე, 2018 წ., 24-30 სექტემბერი;

119. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრო ჩართულია“, 2018წ., 30 ოქტომბერი;

120. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, გია გაბრიჭიძე, 2018წ., 30 ოქტომბერი;

121. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 31 ოქტომბერი;

122. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,უკან მეწყერია“, 2018წ., 31 ნოემბერი;

123. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., ნოემბერი;

124. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“,2018წ., 8 ნოემბერი;

125. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 9 ნოემბერი;

126. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პოლიტიკური ლაბირინთი“, 2018წ., 10 ნოემბერი;

127. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,მხოლოდ მთავარზე“, 2018წ., 13 ნოემბერი;

128. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ადუღებული დრო“, 2018წ., 16 ნოემბერი;

129. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ადღებული ჟამი“, 2018წ., 20 ნოემბერი;

130. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,ან აღმავლობა, ან დაღმავლობა“, 2018 წ., 27 ნოემბერი;

131. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,პანორამა“, 2018წ., 27 ნოემბერი;

132. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, ,,სიმართლე, მხოლოდ სიმართლე“, 2018წ., 30 ნოემბერი;

133. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკ“, სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, 2018წ., 30 ნოემბერი;

134. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ჯაბა ხუბუა, 2018წ., 29 ოქტომბერი- 4 ნოემბერი;

135. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, გიორგი გიგაური, 2018წ., 5-11ნოემბერი;

136. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ჯაბა ხუბუა, 2018წ., 5-11ნოემბერი;

137. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ნატო ფოცხიშვილი, 2018წ., 26 ნოემბერი-2 დეკემბერი;

138. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი“, ,,ო-პოზიცია“, 2018წ., 26 ნოემბერი- 2 დეკემბერი;

139. გაზეთი ,,რეზონანსი“ , ,,საქართველოს მთავარზე“, 2018წ., 30 ოქტომბერი;

140. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს მთავარზე“, 2018წ., 31 ოქტომბერი;

141. გაზეთი ,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018 წ., 31 ოქტომბერი;

142. გაზეთი ,,რეზონანსი“, ნინი შონია, 2018წ., 1 ნოემბერი;

143. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს მთავრზე“, 2018 წ., 5 ნოემბერი;

144. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,ამერიკის ხმა“, 2018წ., 9 ნოემბერი;

145. გაზეთი ,,რეზონანსი“, ,,საქართველოს ამბები“, 2018 წ., 9 ნოემბერი;

146. გაზეთი ,,რეზონანსი“, ია აბულაშვილი, 2018წ., 24 ნოემბერი;

147. გაზეთი ,,რეზონანსი“, ეკატერინე ბასილაია, 2018წ., 24 ნოემბერი;

148. გაზეთი ,,რეზონანსი“, ელზა პაპოშვილი, 2018წ., 27 ნოემბერი;

149. გაზეთი ,,რეზონანსი“, ეკტერინა ბასილაია, 2918წ., 29 ნოემბერი.